ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 27 ოქტომბერი, 2020 | №224 (8488) | ფასი: 60 თეთრი

## „თბილისშია წასული და რატომ, არ ვიცი“

შსს-მ დაადასტურა, რომ ზუგდიდში ბანკზე თავდამსხმელი ბადრი ესებუაა




# „თუ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა, „ოცნებას“ 25-35% ექნება“




ნიკა ჩიტაძე: „შესაძლოა, კობახიძეს აქვს ინფორმაცია, რომ რაღაც კადრები არსებობს და თავს იზღვევს“



## სად წავიდა პანდემიის დროს 5 მილიარდი?!




ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი რუსეთის ყველაზე მსხვილი დასაყრდენია“

## „ოცნების“ წისქვილი უკუღმა დატრიალდა, ცუდი ამინდის კი მას ჰბრალდება“




მამუკა გამყრელიძე: „ამ არჩევნებს ოპოზიცია მოიგებს“

## „ივანიშვილმა ევროპა საქართველოში არსებული შუასაუკუნეობრივი წესებით გააკვირვა“

შოთა მალაშხია: „რა უნდა გამოასწოროს განათლებაში მინისტრმა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი ერთი და იგივე ჰგონია“




## „ზუგდიდში ბანკში შეჭრა ტერორისტული აქტი იყო“




ვახტანგ მაისაია: „ჩატარებული სპეცოპერაცია წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს“




## გიგა ბუკია: „ჩემი ვარაუდით, პროპორციულ ნაწილში „ქართული ოცნება“ 40-43%-ს აიღებს“




## „უცებ ცუდად გახდა და ორმოში წაიქცა“

რუსთავში კოვიდსასტუმროდან გამოსული 21 წლის მამაკაცი გარდაიცვალა

ISSN 1987-9385

2 მეუფე სტეფანეს კორონავირუსი დაუდასტურდა

5 პოლიციამ ხელვაჩაურში ქურდობის ფაქტზე 3 პირი დააკავა

5 ვალერიან ნემსიწვერიძის მკვლელის ვინაობა დადგენილია
რას ამბობს ადვოკატი წულეისკირი

6 ერდოღანი თურქებს მოუწოდებს, არ იყიდონ ფრანგული პროდუქცია

# „ოცნების“ წისქვილი უკუღმა დატრიალდა, ცუდი ამინდის კი მას ჰბრალდება“

## მამუკა გამყრელიძე: „ამ არჩევნებს ოპოზიცია მოიგებს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ მამუკა გამყრელიძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, რას უნდა ველოდოთ 2020-ის არჩევნებისგან? მკვეთრად იმატა ქვეყანაში კრიმინალმა. ბევრი კითხვაა ზუგდიდში მომხდარი ყაჩაღობის საქმეზე. როგორ აფასებთ შექმნილ სიტუაციას?***

– კრიმინალს რაც შეეხება, კრიმინალი უტვინო ნამდვილად არ არის, საკმაოდ გონებაგახსნილი ხალხია. შესაბამისად, ძალიან კარგად შეაფასეს ის სიტუაცია, რომ აი, ამ წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლება შეეცდება, მაქსიმალურად რბილი იყოს. მე ვლაპარაკობ კონკრეტულად ზუგდიდის შემთხვევაზე. გათვალეს, რომ ხელისუფლება არ წავიდოდა სისხლიან დაპირისპირებაზე. ხელისუფლებას უკან რომ არ დაეხია და ვიღაც მომკვდარიყო, ეს ძალიან მძიმედ დაუმთავრდებოდა „ოცნებას“, თუმცა ისედაც მძიმე შედეგით დამთავრდა. ამან გამოაჩინა ძალოვნების არაპროფესიონალიზმი.

***– ანუ დამნაშავემ პოლიტიკურადაც გათვალა სიტუაცია?***

– რა თქმა უნდა. როგორც ჩანს, ძალიან კარგად იყო მომზადებული. რაც შეეხება მთლიანად კრიმინოგენურ სიტუაციას, აქ ბევრი დაფიქრება არ არის საჭირო, რა თქმა უნდა, კრიმინალმა იმატა. ყოველდღიურად ყოფითი ამბების მოსმენა მიწევს, სადღაც მანქანა გაძარცვეს, სადღაც ფული მოიპარეს, ბანკის ინკასატორი დააყაჩაღეს. უკვე ძალიან ბევრია ასეთი შემთხვევა. საარჩევნოდ ეს ძალიან ცუდად იმოქმედებს ხელისუფლებაზე.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ასევე ზუგდიდის შემთხვევის შემდეგ, საზოგადოებაში განწყობა ძალიან შეიცვალა. აქამდე თუ მე არ მქონდა იმისი იმედი, რომ ადვილად გაიმარჯვებდა ოპოზიცია, ახლა ოპოზიციას უფრო მეტი შანსი აქვს გამარჯვების.

***– ოპოზიციურ ლიდერებთან შეხვედრებზე უფრო მეტი ხალხი გამოდის, ბოლო დღეებია...***

– ეს არის საზოგადოების პროტესტი. ადრე ასეთი აქტივობა არ იყო, ახლა საგრძნობლად გაიზარდა. მიუხედავად ამ პანდემიისა, ხალხი ისეა გაღიზიანებული, რომ არც ამის ეშინია. ეს სიტუაცია ძალიან მაგონებს 2012 წლის სიტუაციას. ის კადრები ძალიან მძიმე იყო და იმან გადატეხა სიტუაცია, მაგრამ არც ახლაა სასიამოვნო მდგომარეობა.

***– ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ რადიკალური ოპოზიცია ამზადებს მასალებს ისეთი პროგრამების გამოყენებით, სადაც ადამიანის ვიდეოგამოსახულების გაყალბებაც კი არის შესაძლებელი. რაიმე კადრების ამოგდებას ხომ არ ელოდებიან და თავს იზღვევენ?***



– მეტი რაღა შეიძლება, ამოაგდო?! ჩანს ნათლად, რომ ღიად კორუმპირებულია ეს ხელისუფლება. ადამიანებს, რომელთა ხელფასი არ აღემატება 20-30 ათას ლარს წელიწადში, აქვთ რამდენიმემილიონიანი ვილები და შენობები. საიდან?! მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ყველა სუფთა იყო სხვა წინა ხელისუფლებების დროს, მაგრამ, რომ შევადაროთ, ამის შედარებაც კი არ შეიძლება.

მე ვიცნობ ყოფილ მინისტრებს, ყოფილ ძალიან მაღალი თანამდებობის პირებს წინა ხელისუფლებიდან, რომლებსაც ოჯახის სარჩენად ფიზიკურად უწევთ მუშაობა. აბა ახლა ამათ შეხედეთ, როგორ ცხოვრობენ და როგორ იქცევიან!

***– ელოდებით, რომ ბოლო დღეებში რაიმე ისეთი გარდამტეხი მოხდეს?***

– არა მგონია, რაიმე განსაკუთრებული გამოჩნდეს, ისედაც ყველამ ყველაფერი ძალიან კარგად იცის. ამას პლუს ბანალური მობეზრება. ყველას მობეზრდა ეს ხელისუფლება. არ შეიძლება, თვალებში მიცქერდე და მატყუებდე. ეს უტიფრობა ყველას აღიზიანებს.

***– ანუ შეიცვლება სიტუაცია?***

– აუცილებლად შეიცვლება. ეს ბოლო მოვლენები იყო საზოგადოების ერთგვარი გამაღიზიანებელი. ხომ გახსოვთ რაფალიანცის გარდაცვალება? საწყალი ბავშვი რომ დაიღუპა... ის საქმე ბოლომდე „შესტენეს“ და დააბრალეს ნაციონალურ მოძრაობას. ახლა ზუსტად იგივე სიტუაციაა. ვინც რა უნდა გააკეთოს, ვინც არ უნდა იყოს დამნაშავე, ვინც არ უნდა იყოს გარეული, მაინც ყველაფერზე პასუხისმგებელი გახდება „ქართული ოცნება“.

ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური ამბავია და ეს არ უნდა გაუკვირდეს არავის. „ოცნება“ წამგებიან სიტუაციაშია ნებისმიერ შემთხვევაში. მისი წისქვილი უკუღმა დატრიალდა.

იცით, როგორი ამბავია? ცუდი ამინდი რომ იქნება, ვისი ბრალია და „ოცნების“. აი, ეს პროცესი მიმდინარეობს.

ამას ხელს უწყობს პანდემიით გამოწვეული ვითარებაც. ის სეგმენტი, სადაც თავს ძლიერად გრძნობდა ხელისუფლება, ვგულისხმობ ჯანდაცვას, აღმოჩნდა კატასტროფულად დაბალ დონეზე.

ხარისხით ამაზე დაბალი დონის მინისტრი მე არ მინახავს. ადამიანს წარმოდგენა არა აქვს საერთოდ სამედიცინო მენეჯმენტზე. შესაბამისად, ხალხი გაღიზიანებული და შეშინებულია. რა თქმა უნდა, ესეც ხელისუფლების წინააღმდეგ იმუშავებს. ამიტომ ჩვენ მივიღებთ ასეთ მოცემულობას, რომ ოპოზიცია გაიმარჯვებს. ერთადერთი, რაც მაშინებს, არის ის, თუ როგორ დალაგდება ოპოზიცია პარლამენტში არჩევნების შემდეგ.

***– რის თქმა გინდათ, რომ ოპოზიცია გაიმარჯვებს, მაგრამ, შესაძლოა, მერე პარლამენტში ველარ შეთანხმდნენ?***

– აი, ეს იქნება გამოცდა ოპოზიციისთვის. გაიმარჯვებს პრაგმატიზმი, თუ გაიმარჯვებს ემოციური მიდგომა, აი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. თუ ახლა პოლიტიკოსები აჩვენებენ პრაგმატიზმს, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ისინი გაიზარდნენ ხარისხობრივად. დღეს ცოტა სხვანაირი მიდგომაა საჭირო, როდესაც უნდა გადადო შენი პირადი ამბიციები, პირადი წყენები და საერთო საქმისათვის სწორი და ერთიანი გადაწყვეტილება მიიღო.

***– ვერც კოალიციური მთავრობით შეძლებს „ოცნება“ დარჩენას?***

– დიდი იმედი მაქვს, რომ ასე არ იქნება. ამომრჩევლის აქტივობა უნდა იყოს მაღალი. პასიურობა ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს, თუმცა აქ მეორე ამბავია გასათვალისწინებელი – შესაძლოა, ხელისუფლება წავიდეს ლუკაშენკოს გზით.

***– და რა იქნება მერე?***

– აი, სწორედ ესაა მთავარი – როგორ მოიქცევიან პარლამენტში, ეს ოპოზიციის პასუხისმგებლობაა, მაგრამ, როგორ მოიქცევა საზოგადოება, თუკი მოხდა უნამუსო გაძარცვა და ამომრჩევლის ხმების წაღება, ეს უკვე საზოგადოების პასუხისმგებლობის სფეროა და არა – პოლიტიკოსების.

ძალიან საინტერესო არჩევნები გველოდება. ან მივდივართ წინ დიდი ნაბიჯებით, ან დიდ ნაბიჯს ვდგამთ უკან და ვიღებთ ლუკაშენკოს ან ყირგიზეთის სცენარს.

# სად წავიდა პანდემიის დროს 5 მილიარდი?!

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი რუსეთის ყველაზე მსხვილი დასაყრდენია“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ლაშა, ირაკლი კობახიძის განცხადებას, რომ რადიკალური ოპოზიცია ცრუ ვიდეოებს ამზადებს, როგორ შეაფასებთ? ეს არის მათი მხრიდან თავდაცვის მიზნით გაკეთებული განცხადება თუ შეიძლება, მართლაც ვიღაც ამზადებს ისეთ რამეს, რომ პროცესი აირიოს?***

– ნათქვამია, შიში ოხერიაო, შიშს დიდი თვალები აქვსო. „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლების დაკარგვის ეშინია. კობახიძეს ხან 60% ელანდება, მისი ბატონის, ივანიშვილის არ იყოს და ხან რა. ეს, იცით, რას მაგონებს? ხალხს რომ უთხრეს, თუ „რუსთავი 2“-ს გავთიშავთ, ყველაფერი კარგად იქნებაო. რა გვითხრა კობახიძემ? საკუთარ თვალებს არ დაუჯეროთო! მე ნამდვილად არ ვიცი, ვინ რას აჩვენებს და ვინ რას გაუშვებს, მაგრამ იმის თქმა, ჩვენზე რასაც ნახავთ, არ დაიჯეროთ, ხალხნო, ეს ბლოკ-ბასტერი იქნება სასაცილო, სატირალი რომ არ იყოს. ადამიანებს აქვთ უნარი, ტყუილ-მართალი როგორმე ერთმანეთისგან გაარჩიონ. ტელევიზიების დეფიციტი ნამდვილად არ აქვს „ქართულ ოცნებას“ და, თუ პასუხი ექნებათ, გასცენ. ამის პრობლემა არ ექნებათ. ეს არის აბსოლუტურად დასაბუთებული შიშის გამოვლინება კობახიძის მხრიდან, რადგან ივანიშვილის რეჟიმი მარცხდება, მაგრამ მარცხდება მხოლოდ ერთი პირობით, თუ იქნება ამომრჩევლის მაღალი აქტივობა. პირბადეებით აღჭურვილები უნდა მივიდეთ და ჩვენი არჩევანი უნდა დავაფიქსიროთ.

***– გამორიცხავთ, რომ შეიძლება, ვინმე მართლაც ამზადებდეს გარკვეულ მასალას?***

– არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ივანიშვილის რეჟიმის დანაშაულობანი იმდენად მრავალფეროვანია, რომ კრიმინალთან, ტოტალურ კორუფციასთან დაკავშირებით, რომელიც განსაკუთრებით პანდემიას ეხება, ვინმემ დამატებით თუ მოიპოვა ინფორმაცია, არ ვიცი. პირადად მე ასეთი მასალა რომ მქონდეს, ნამდვილად არ დავმალავდი. რაც ვიცი, იმაზე ღიად ვსაუბრობ. მე არანაირი ჩანაწერი არ გამაჩნია, როგორი ოპოზიციაც არ უნდა მიწოდოს კობახიძემ. ჩემთვის ვიდეოჩანაწერების გარეშეც ნათელია, რომ სერიოზულ კორუფციასთან გვაქვს საქმე: 5 მილიარდი სად წავიდა თუნდაც პანდემიის დროს?! მაშინ, როდესაც სოციალურად დაუცველებს, ავადმყოფ მოხუცებს ელემენტარული პირბადე არ აღირსეს, უფასო გრიპის ვაქცინიზაციაზე არც კია საუბარი. რაზეა საერთოდ საუბარი, როდესაც მეორე ტალღას სრულიად მოუმზადებლები შეხვდნენ. საშინელი ქაოსი და შიშია ხალხში. ექიმების ინფიცირების რეკორდი გვაქვს ქვეყანაში. კოვიდ-სასტუმროები კორუფციის ნოუჰაუ იყო საერთოდ. სამშენებლო ბიზნესზე, ნავთობკომპანიებზე აღარ ვსაუბრობ. ეს ყველაფერი ხელისგულზე დევს. ბიზნესმენი ფხაკაძე და მისნაირები, რომლებიც ყველა ხელისუფლებას ახმოვანებენ, ამ სქემის სახეა. რაც შეეხება ოქრიაშვილსა და მის ბიზნესმენობას, დეპუტატობასთან ერთად, ამ განსაკუთრებულობას ჩემი შეფასებები არ სჭირდება. ის ყველა ადამიანმა იცის საქართველოში. ამ პირობებში რა ვიდეოჩანაწერებსა და მის გაყალბებაზე საუბრობს კობახიძე?!

აი, ასეთი რაღაცები მოაქვს ერთპარტიულ მმართველობას, რომელსაც 30 წელია, თავი ვერ დავაღწიეთ. 31 ოქტომბერს გვეძლევა შანსი და ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა, რომლებსაც უკეთეს საქართველოში გვინდა ცხოვრება, ეს უნდა გამოვიყენოთ და ამაზე არავითარ შემთხვევაში უარი არ უნდა ვთქვათ. პირბადეებითა და გონების დაძაბვით უნდა მივიდეთ არჩევნებზე და ღიად დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია, რომ არაფრის გვეშინია. ერთპარტიული რეჟიმები წარსულს უნდა ჩავაბაროთ. კოალიციური მმართველობა არის ამ ქაოსიდან და სრული გაუგებრობიდან გამოსავალი. რეალური ბალანსი და სრული მონოპოლიაა საჭირო. ეს უნდა გავაცნობიეროთ.

***– კობახიძის განცხადებას რომ დავუბრუნდეთ, რუსულ კვალს გამორიცხავთ? შეიძლება, არჩევნების დღეს სიტუაციის ასარევად მართლაც რაღაცას ამზადებს რუსეთი?***



– რუსეთისა და პუტინის ყველაზე ღია და სანდო პარტნიორი ქვეყანაში ივანიშვილია. აქედან გამომდინარე, არა მგონია, რუსეთს სხვის სასარგებლოდ აქცენტის გადატანა დასჭირდეს. ეს არ არის მხოლოდ ჩემი და დანარჩენი ოპოზიციის პოზიცია. ამაში მეც და სხვებსაც არწმუნებს ჩვენი დასავლელი პარტნიორების პოზიცია, ვგულისხმობ ამერიკელი კონგრესმენებისა და ევროპარლამენტარების განცხადებებს. ისინი ამ კაცს ღიად უწოდებენ რუს ოლიგარქს. ეს ხომ არ არის ჩემი მოგონილი სიტყვები?! ეს განცხადება მე ხომ არ გამიკეთებია?! ეს ხომ არ არის ქართული ოპოზიციის ეჭვები?! დასავლეთს ჩვენზე მეტი რესურსებიც გააჩნია ინფორმაციული, სადაზვერვო და ა.შ. ამიტომ მე მათი უფრო მჯერა, ვიდრე კობახიძისა და სხვა კარისკაცების, რომლებიც ხან ვის ადანაშაულებენ პრორუსულობაში და ხან ვის. თუმცა დასავლეთისგან სხვაზე არ გამიგია, თუ არა მათზე და მათი რადიკალური დაჯგუფების „პატრიოტთა ალიანსის“ მისამართით. „პატრიოტთა ალიანსი“ რეალური სულია „ქართული ოცნების“, მაგრამ ისინი უფრო ღიად არიან წარმოდგენილნი. ეს არის განსხვავება. ამიტომ, მე არ მგონია, რუსეთი ახლა აქ ახალ დასაყრდენს ეძებდეს, თუმცა, რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერია, მაგრამ ყველაზე მსხვილი დასაყრდენი რუსეთს უკვე ნაპოვნი ჰყავს.



## მეუფე სტეფანეს კორონავირუსი დაუდასტურდა

საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსი, მღვდელი ანდრია ჯაღმაიძე სოციალურ ქსელში წერს:

„ბევრი ჟურნალისტი ინტერესდებოდა ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტ სტეფანეს კორონავირუსით დაინფიცირების გამო.

როგორც თავად მეუფემ მაცნობა, მასთან წინა კვირას ინტერვიუზე იმყოფებოდა ჟურნალისტი, რომელსაც მეორე დღეს დაუდასტურდა ვირუსი. ამის შემდეგ, სიფრთხილის გამო, მეუფე კონტაქტებისაგან თავს იკავებდა და იყო ფაქტობრივად თვითიზოლაციაში. მომდევნო დღეებში მან ჩაიტარა ტესტირება და დადასტურების შემდეგ, როგორც რეკომენდებულია, იმყოფება იზოლაციაში, საკუთარ რეზიდენციაში. დღეისათვის ავადმყოფობის სიმპტომები არ ვლინდება.

მეუფეს მსახურება არ შეუსრულებია გასულ კვირას. ასე რომ, ნაკლებადაა მოსალოდნელი, მეუფის გარემოცვაში ამ შემთხვევის გავრცელება მოჰყვეს“.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საინინფო სამსახური – კლარა ბალაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დიზაინერი – ზურაბ მერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავა
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „თუ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა, „ოცნებას“ 25–35% ექნება“

## ნიკა ჩიტაძე: „შესაძლოა, კობახიძეს აქვს ინფორმაცია, რომ რაღაც კადრები არსებობს და თავს იზღვევს“

იაგო ნაცვლიშვილი

**როგორ აფასებს ირაკლი კობახიძის მორიგ ხმაურიან განცხადებებს? რა შედეგს უნდა ველოდოთ არჩევნებზე? როგორ აფასებს მთლიანობაში საარჩევნო კამპანიას და შედარებით მშვიდი კამპანიის მიზეზი დასავლეთის წითელი შუქია თუ კორონავირუსის? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.**

***– ირაკლი კობახიძემ ნაციონალური მოძრაობა დაადანაშაულა კორონავირუსის შეგნებულ გავრცელებაში და ასევე თქვა, რომ რადიკალური ოპოზიცია ემზადება ვიდეოების გავრცელებისთვის, რომელიც ფალსიფიცირებულია, მაგრამ ტექნიკურად იქნება დამუშავებული კარგად. ეს რას ნიშნავს, თავს იზღვევს „ქართული ოცნება“?***

– დავიწყოთ ვირუსით. როგორ გააავრცელებდა ნაციონალური მოძრაობა ვირუსს აჭარაში, როდესაც ის მანამდე გავრცელდა. ის იყო იქამდეც გავრცელებული, სანამ ნაციონალური მოძრაობა ბათუმში მიტინგს ჩაატარებდა. ესეც იაფფასიანი პიარტექნოლოგიაა.

***– აქციაზე დისტანცია რომ არ იყო დაცული, იმაზე მიანიშნებდა კობახიძე.***

– რა თქმა უნდა, დისტანცია დაცული უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში მე მაქვს ოპოზიციასთან კითხვები. იქ აქციის მონაწილეს არ ეკეთა პირბადე და არ იყო დაცული დისტანცია, მაგრამ ფაქტია, რომ ვირუსი მანამდე გავრცელდა. აჭარის რეგიონში ვირუსმა გავრცელება სექტემბრიდან დაიწყო და ზუსტად აჭარაზე მოდიოდა დიდი დატვირთვა ვირუსის გავრცელების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ნაციონალური მოძრაობა ვერ გააავრცელებდა.

რაც შეეხება იმას, რომ კადრების გავრცელებას ამზადებენ და ა.შ. არსებობს ასეთი ვერსია, რომ რაღაც კადრები არსებობს და ირაკლი კობახიძეს სურს, თავი დაიზღვიოს, რომ ჩვენ კი არ ვართ კადრებში, არამედ რაღაც პროგრამა მუშაობს და ვიღაც ადამიანები არიან.

***– ანუ თქვენც გაქვთ ინფორმაცია, რომ ასეთი კადრები არსებობს?***

– არა, მე არ მაქვს ასეთი ინფორმაცია. მე ვამბობ იმას, რომ შესაძლოა, კობახიძეს ჰქონდეს ეს ინფორმაცია და, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, თავს იზღვევდეს, ან მეორე ვარიანტია ის, რომ გაერთიანებული ოპოზიცია რადიკალურ ძალად წარმოაჩინოს. მოგეხსენებათ, მან რადიკალური ოპოზიცია უწოდა „ძალა ერთობაშიას“. ამ დროს ის არ არის რადიკალური. ის იბრძვის ცივილიზებული მეთოდებით, ამომრჩეველს სთავაზობს თავის პროგრამას და ატარებს წინასაარჩევნო კამპანიას კანონიერ ფარგლებში. ბუნებრივია, რადიკალიზმი ნიშნავს იმას, რომ კონკრეტული პარტიების ქმედებები გადაიზრდება რადიკალურ-ექსტრემისტულ მოქმედებებში, რომლებიც სცდება კანონის ჩარჩოებს.

ეს ორი ვარიანტია, ან არსებობს კადრები და კობახიძეს აქვს რაღაც ინფორმაცია, რომ ჩაუვარდა „მთავარ არხს“ ან „ფორმულას“, ან მეორე ვარიანტია, რომ ოპოზიცია წარმოჩენილი იყოს რადიკალურ ძალად.

***– 4 დღე რჩება არჩევნებამდე. ელოდებით თუ არა, რომ ამ დღეებში კიდევ შეიცვლება რამე?***

– შეიძლება, კომპრომატების ომი კიდევ იყოს, მაგრამ, საერთო ჯამში, ეს გავლენას მოახდენს იმ ამომრჩეველზე, რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს მიღებული გადაწყვეტილება, თუ ვის სასარგებლოდ უნდა გააკეთოს არჩევანი, თორემ, სტაბილური ამომრჩეველი ჰყავს „ოცნებასაც“ და ნაცმოძრაობასაც. მთავარი და მნიშვნელოვანია, თუ რამდენად მოახდენს ესა თუ ის კადრი თუ კომპრომატი საბოლოოდ ამომრჩეველზე, რომელსაც ჯერ არ აქვს გადაწყვეტილება მიღებული.

***– იყო ძალადობის ცალკეული ეპიზოდები, მაგრამ არ იყო ისეთი სახის, რა მოლოდინიც გვქონდა. მთლიანობაში როგორ აფასებთ საარჩევნო კამპანიას? ამას წითელი შუქი აუნთო დასავლეთმა და მეტი ვერ გაბედა „ოცნებამ“ თუ კოვიდმა შეუშალა ხელი?***

– მე მგონი, დასავლეთმა წითელი შუქი აუნთო. იმავე 2016 წლისგან განსხვავებით, როდესაც დასავლეთი არ მოეკიდა მთლად სერიოზულად პროცესებს, თუნდაც იმავე კორცხელის ინციდენტს. არ იყო დაგმობილი ხელისუფლების ქმედება, მაგრამ 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით დასავლეთი უფრო სერიოზულად მოეკიდა ამ საქმეს და ხელისუფლების მისამართით კრიტიკული შენიშვნები არსებობდა სხვადასხვა



მიმართულებით.

გვახსოვს, რომ თავის დროზე არ შეიცვალა საარჩევნო კოდექსი და შემდეგ დასავლეთი აქტიურად ჩაერია, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ანაკლიის პროექტი ჩავარდა. აქედან გამომდინარე, შემდგომ პერიოდში დასავლეთს მოუწია ჩარევა და მე ასე მგონია, რომ ხელისუფლება იძულებულია, დღეს დასავლეთის ინტერესებს გარკვეული ანგარიში გაუწიოს.

***– 2012 წლიდან დღემდე არჩევნებზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ივანიშვილისა და სააკაშვილის როლი. დღეს, როდესაც სააკაშვილი ყოველდღე ეთერშია, ამ დროს ივანიშვილი სად არის?***

– ის ეცდება, წინასაარჩევნო კამპანიის ბევრ შეხვედრას დაესწროს. ის კონცენტრირებულია იმაზე, რომ არ მოიგოს ოპოზიციამ და მის ბიზნესს პრობლემები არ შეექმნას.

***– კულისებშია? ანუ ის კულისების პოლიტიკოსია და იქიდან მართავს პროცესებს?***

– დიახ. ის ჩართულია პროცესებში.

***– თუმცა წინა არჩევნებზე ხომ ვხედავდით, ინტერვიუები ჰქონდა, გამოსვლები, მოწოდებები... დღეს რატომ არ აკეთებს ამას?***

– კი ეს ასეა, მაგრამ შეხვედრებს ესწრება. აქედან გამომდინარე, მე ასე მგონია, რომ ჩართულია წინასაარჩევნო პროცესში. შესაძლოა, თავად არ ჩანდეს, მაგრამ ფაქტია, მისი ფაქტორის გათვალისწინებით არის ასე, რომ შემოწირულობების 55% „ქართულ ოცნებაზე“ მოდის. შესაძლოა, არ ჩანს, მაგრამ პროცესში ჩართულია.

***– რა სურათს ელოდებით არჩევნებზე, მოიგებს ისევ „ოცნება“?***

– „ოცნება“ პირველ ადგილზე გავა, მაგრამ, საქმე ის არის, შეძლებს თუ არა, მოაგროვოს 40%. თუ არჩევნები ჩატარდება დემოკრატიულად და არ მოხდება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ამ შემთხვევაში 40%-ის მიღება გაუჭირდება, რომ ჰქონდეს მთავრობის ჩამოყალიბების საშუალება.

***– 40%-ით მთავრობას ჩამოაყალიბებს?***

– კი. პროპორციულ ნაწილში 40.5% უნდა მიიღო იმისთვის, რომ დამოუკიდებლად შეძლო მთავრობის ჩამოყალიბება. „ოცნებას“ გაუჭირდება, თუ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება, მაგრამ ბევრი რამეა დამოკიდებული ხალხზე – წავა თუ არა ხალხი არჩევნებზე. პრობლემაა ის, რომ მოსახლეობის ნაწილი თავისი რეგისტრაციის ადგილზე არ ცხოვრობს. ბევრი მათგანი ცხოვრობს თბილისში და რეგისტრირებულია კონკრეტულ რაიონში. აქედან გამომდინარე, „ოცნებას“ აქვს რესურსი, რომ თავისი ამომრჩეველი ჩაიყვანოს ადგილზე. ამიტომ ბევრი რამეა მოქალაქეებზე დამოკიდებული. თუ იტყვიან, რომ კორონავირუსია და ვერ ჩავლენ, მაშინ მგლის შიშით ტყეში არ უნდა წახვიდე. მე ასე მგონია, რომ მთავარი კორონავირუსი სხვა რამეს უკავშირდება, არჩევნები 4 წელიწადში ერთხელ ტარდება, ამიტომ, რომ გაიჭირვო და ჩახვიდე შენი რეგისტრაციის ადგილას, მე მგონი, კარგი იქნება. ამიტომ ბევრი რამეა დამოკიდებული მოქალაქეებზე. თუ ბევრი ამომრჩეველი მივა, მაშინ „ოცნებას“ გაყალბება გაუჭირდება.

***– ყველაფრის გათვალისწინებით, თქვენი პროგნოზი როგორია? რამდენ პროცენტს აიღებს „ოცნება“?***

– თუ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება, 25-დან 35%-ის ფარგლებში.

***– თუ ადმინისტრაციული რესურსი და სხვა რესურსებიც გამოიყენა?***

– მაშინ, შესაძლოა, 40%-ზე მეტიც აიღოს. ისე ვერ აიღებს მას. ისე, როგორც გითხარით, 25%-დან 35%-ის ფარგლებში აიღებს. ეგზიტპოლებითაც გამოჩნდება, მაგრამ ბევრი რამეა დამოკიდებული მოქალაქეებზე, ჩავლენ თუ არ ჩავლენ. მაგალითად, ვიცი, რომ 2016 წელს ოპოზიციურად განწყობილი ბევრი ადამიანი არ ჩავიდა რაიონში და არ მისცა ხმა. ამ დროს 4 წელიწადში ერთხელ ტარდება არჩევნები და ერთხელ შეიძლება გაჭირვება.

# „ივანიშვილმა ევროპა საქართველოში არსებული შუასაუკუნეობრივი წესებით გააკვირვა“

## შოთა მალაშხია: „რა უნდა გამოასწოროს განათლებაში მინისტრმა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი ერთი და იგივე ჰგონია“

მარიამ მჭედლიშვილი

**არჩევნების მოახლოების კვალდაკვალ, ტემპერატურა მაღლა იწევს, პოლიტიკური კომპრომატებიც მრავლდება. — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატ შოთა მალაშხიას.**



***– „ტვ პირველმა“ გაავრცელა ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილისა და ციხის ყოფილი თანამშრომლის ლადო ბედუკაძის შეხვედრის ამსახველი 2013 წელს გადაღებული კადრები. „მთავარისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილის წარსულზე ნეგატიურად საუბრობს მისი უსაფრთხოების ყოფილი უფროსი ელდარ გოგოლაძე. მანამდე აქტუალური იყო დავითგარეჯის თემა, რომელსაც „ქართული ოცნება“ ოპოზიციის წინააღმდეგ იყენებს. რას იტყვით ამ ურთიერთკომპრომატებზე?***

– სინამდვილეში, ორი ოპოზიციური არხით გადმოცემული ინფორმაცია არის არსებულის დამტკიცება. ახალი კომპრომატებით დასტურდება ის, რაც ხალხმა ივანიშვილსა და მის ხელისუფლებაზე დიდი ხანია იცის. სიახლე ხომ არ არის, რომ 2012 წელს ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ მოვიდნენ რაფალიანცის საქმით, რომელიც დღემდე გაუხსნელია და დადგმული ციხის კადრებით. ივანიშვილი და მისი კარის ბიზნესმენების კავშირი ბედუკაძესთან გასაკვირი არ არის. ციხის კადრების გამოყენება კი მათ თავში არ მოხარშულა. ეს იყო რუსეთის სპეცსამსახურების – კგბ-ს, ფსბ-ს, გრუ-ს ჩვეული სტილი. რუსეთის სპეცსამსახურები თავიანთ მეთოდებს სხვაგანაც იყენებენ – კატალონიის არჩევნები იქნება თუ აშშ-ის და ბრექსიტი. უბრალოდ, იქ მყარი დემოკრატიული ინსტიტუტებია, საქართველოს კი რუსეთის მიერ დასმული ხელისუფლება ჰყავს. ამ ბოლო დროს ბევრი რამე უფრო გამოაშკარავდა.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– ზედაპირზე გამოვიდა კრიზისი ყველა სფეროში, ეკონომიკითა და ჯანდაცვით დაწყებული, კრიმინოგენური მდგომარეობითა და განათლებით დამთავრებული. ეს ის ხელისუფლება არ არის, რამდენიმე თვის წინ დღე-ღამეში რომ 10 კოვიდინფიცირებული გვყავდა, ყველაფერი რომ ჩაკეტა და აკრძალა, ცოლ-ქმარს კი მანქანაში ერთმანეთის გვერდით არ სვამდა?! ხალხს ლუკმაპური გამოაცალა პირიდან, თავისი გარემოცვა კი გაამდიდრა? პანდემიის დროს ფული შედიოდა იმ სასტუმროებში, რომლების მფლობელები ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები არიან. გვარწმუნებდნენ, მკურნალობის ახალი მეთოდი აღმოვაჩინეთ, ყველას ვჯობივართო. ვირუსს თუ აკავებ, ეს პერიოდი მომზადებისთვის უნდა გამოიყენო – საწოლები, აპარატურა მოიმარაგო და მედპერსონალი მოამზადო. ვხედავთ, რომ ამ სამიდან არაფერი არ არსებობს. იმასაც ვერ გვეუბნებიან, რომ ვირუსს ამარცხებენ.

***– ინფიცირებულთა დიდ რაოდენობას ხელისუფლება საკუთარ მარცხად არ მიიჩნევს.***

– ეიფორია აღარ არის.

***– ხელისუფლების წარმომადგენლები იმასაც ამბობენ, რომ ბოლო თვეები მოსამზადებლად გამოიყენეს.***

– როგორც კორონავირუსს აჯობეს, ისეთი მომზადებულები ხვდებიან ამ სიტუაციასაც! დღე-ღამეში უკვე 2000-მდე ინფიცირებული – ეს სრული კატასტროფაა. საქართველოში ახლა 4 მილიონზე ნაკლები ადამიანი ცხოვრობს. წარმოვიდგინოთ, რომ 4 მილიონი ვართ. მილიონზე გამოდის 500 ავადმყოფი. აშშ-ში ყველაზე უარეს მომენტში იყო 250, იტალიაში – დაახლოებით 180, ამდენივე – ესპანეთში. ჩვენი მდგომარეობა იმაზე უარესია, ვიდრე აშშ-ის, იტალიისა და ესპანეთის კრიზისული სიტუაცია, ერთად აღებული. ჩვენ ვართ ყველანაირი კრიზისის წინაშე. მდგომარეობა რომ უკვე რთული იყო, ამაზე მისაუბრია „ახალი თაობისთვის“ მიცემულ ინტერვიუებში. ამ პრობლემებზე ვლაპარაკობ ჩემს ფილმში „ანაკონდა“, რომელიც ორი დღის წინ აჩვენა „მთავარმა არხმა“. ფილმი ორი წლის წინანდელია, თუმცა დღევანდელ რეალობას ასახავს. რუსეთის მიერ მოყვანილი ხელისუფლება მიზანმიმართულად ანგრევს სახელმწიფო ინსტიტუტებს. თავდაცვის სფეროს არ ეძლევა დაფინანსება. რას დაამსგავსეს პოლიცია, ამ დღეებში ნათლად გამოჩნდა. კაცი შევარდა ბანკში, აიყვანა 43 მძევალი, მოითხოვა ფული. პოლიციამ ნახევარი მილიონი მიუტანა. ბანკის ოფისი მდებარეობს სუს-ის შენობის გვერდით. ზუგდიდი არის ფრონტისპირა რეგიონში. იქ უშიშროება ასეთ მძიმე ფაქტებს კი არა, ჩიტის გადაფრენასაც კი უნდა აკონტროლებდეს.

***– ფრონტისპირა რეგიონი ახსენეთ. აფხაზური ადმინისტრაცია მზადაა, ძებნილი გადმოგვცეს, თუ ის აფხაზეთში გადავა.***

– აფხაზეთში, არა მგონია, გადავიდეს. ხელისუფლებას აწყობს, ილაპარაკოს იმაზე, რომ სწორად მოიქცა და აფხაზები ძებნილს გადმოგვცემენ. საერთოდ, საქართველოს ჰყავს დამანგრეველი ხელისუფლება, მეხუთე კოლონა, რომელიც ანადგურებს სახელმწიფოს. ეს მეხუთე კოლონა რომ ოპოზიციას მოედავება, სასაცილო არ არის?! ოპოზიციას აბრალებს დავითგარეჯის ტერიტორიის სხვისთვის გადაცემას.

***– ხელისუფლების მომხრეებმა ზუგდიდის ბანკის დაყაჩაღებაც ოპოზიციას დაუკავშირეს და მას უწოდეს „ნაცების მოდელირებული ტერორიზმი“.***

– ეს ხომ უფრო სასაცილოა! 43 მძევლიდან ერთი აღმოჩნდა ნაცმოძრაობის მომხრე და ამაზე ააგეს თავიანთი „თეორია“. ამ თეორიის განვითარება „იმედის“ არხზე აღმოვაჩინე.

***– შეიძლება დავასკვნათ, რომ ხალხმა ისედაც ყველაფერი იცის და ბოლოდროინდელი მასალები არჩევნების შედეგზე გავლენას არ მოახდენს?***

– თუ რომელიმე ფაქტი გადმოიცემა, ეს არის ინფორმაციის გამყარება. აქამდე თუ კიდევ ვინმეს არა აქვს არჩევანი გაკეთებული, კარგად გვქონია საქმე! „ოცნების“ ნამდვილი სახე ზოგმა 2012 წელს დაინახა, ზოგმა – შემდეგ წლებში. ხალხი უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაშია. აქამდე ადამიანები მიიყვანა ხელისუფლების მოქმედებამ. ივანიშვილის ხელისუფლებამ ეკონომიკას დედა უტირა და ის ადამიანები, რომლებიც ყოველდღიური თუ ყოველთვიური შემოსავლით არსებობენ, სახლებში გამოკეტა. „ოცნებას“ მხარდამჭერები არ ჰყავს. თუ აკვირდებით, ოპოზიცია დადის სახლებში, არიგებს ბუკლეტებს, „ოცნების“ კოორდინატორებს კი არაფერი აქვთ სათქმელი.

***– „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი სლოგანი არის ევროკავშირში გაწევრიანება.***

– ამაზე ივანიშვილის ფრთიანი ფრაზა მახსენდება. მან პირობა დადო, რომ ევროპას ქართული დემოკრატიით გააკვირვებდა. ევროპა მართლაც გაოცდა, ოღონდ, არა – დემოკრატიით. ევროპა გაოგნებულია საქართველოში არსებული შუასაუკუნეობრივი წესებით. ეს წესები დაამკვიდრა მთავარმა არაფორმალურმა მმართველმა ივანიშვილმა, ასევე მისმა გარემოცვამ, პატარა არაფორმალებმა – ფარცხალაძემ, ივანიშვილის დეიდაშვილმა და სხვებმა. საქართველოში კანონი კი არ კანონობს, საქმეები ივანიშვილის სახლში ირჩევა. ქვეყანა გადაქცეულია მისი მომსახურების ბიუროდ. ხელისუფლება ამბობს, რომ განათლებაა პრიორიტეტი. რა უნდა გამოასწოროს განათლების მინისტრმა ჩხენკელმა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი ერთი და იგივე ჰგონია. თაყაიშვილი, დიდი მოღვაწე, დიდხანს შიმშილობდა ევროპაშიც და საქართველოშიც. ის იტანჯებოდა, რათა საქართველოსთვის დაებრუნებინა განძი. ექვთიმე თაყაიშვილმა სიმდიდრე ჩამოუტანა საბჭოთა საქართველოს, ივანიშვილი კი თვითონ მდიდრდება და გვიშენებს საბჭოთა საქართველოს!

# გიგა ბუკია: „ჩემი ვარაუდით, პროპორციულ ნაწილში „ქართული ოცნება“ 40–43%–ს აიღებს“

## „როცა მძევლები აიყვანეს, ბანკის შენობასთან მივედით, მაგრამ ამის შესახებ არ გვიყვირია“

მარიამ მჭედლიშვილი

**როგორია ვითარება არჩევნებამდე 5 დღით ადრე? აისახება თუ არა მნიშვნელოვანი მოვლენები წინასაარჩევნო სიტუაციასა და პოლიტიკურ რეიტინგებზე? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, მოქმედი პარლამენტის წევრ გიგა ბუკიას.**



***– თქვენი აზრით, აისახება თუ არა ბოლო დროს მომხდარი მოვლენები პოლიტიკურ რეიტინგებზე? ურთიერთკომპრომატების გარდა, მოსახლეობას თავს დაატყდა გაუფასურებული ლარი, კოვიდაფეთქება და მძიმე კრიმინალური შემთხვევები. მათგან გამორჩეულია ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალში მომხდარი ამბავი.***

– ქვეყანაში მიმდინარე ყველა მოვლენა, განსაკუთრებით მაშინ, როცა არჩევნები კარსაა მომდგარი, აისახება ხალხის განწყობაზე. ყველა პროცესი გარკვეულ როლს თამაშობს. ზოგი ხელისუფლების სიძლიერის მანიშნებელია, ზოგი – სისუსტის.

***– ზუგდიდის ფაქტის გარშემო საზოგადოების აზრი ორად გაიყო. ერთი ნაწილისთვის იქ ჩატარდა პროფესიონალური სპეცოპერაცია, მეორე ნაწილი კი დარწმუნებულია, რომ სამართალდამცავები ჩაფლავდნენ და ხელიდან გაუშვეს სერიოზული დამნაშავე.***

– ჩემი მოსაზრებით, ცალსახად წარმატებაა, რომ მძევლებს არაფერი დაუშავდათ და ისინი გათავისუფლდნენ. ადამიანების ჯანმრთელობა და სიცოცხლე მთავარია. არიან ადამიანები, რომლებისთვისაც ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ დამნაშავე ადგილზევე დაეკავებინათ, თუნდაც მძევლების სიცოცხლის ფასად. ყველა ადამიანს თავისი შეხედულება და ღირებულებები აქვს. ვილაცისთვის ამ ოპერაციის შემდეგ ხელისუფლებიც ავტორიტეტი ამაღლდა, ვილაცისთვის ხელისუფლებამ სისუსტე გამოიჩინა. ეს ხალხი არჩევნების დროს ამის მიხედვით გააკეთებს არჩევანს. ბანდიტიზმი და ყაჩაღობა სხვა ქვეყნებშიც ხდება. მსგავსი შეიძლება ნებისმიერ ადგილას მოხდეს. მძიმე საყურებელი იყო 43 ჩვენი თანამოქალაქის მძევლად აყვანა. კარგია, რომ ყველა მათგანი გადარჩა. ჩემი აზრით, წარმატებული იქნება ეს სპეცოპერაცია, თუ დამნაშავეს დააკავებენ. თუ ეს არჩევნებამდე მოხდა, ხელისუფლებას მხარდამჭერები მოემატება.

***– სხვა ოპოზიციონერები ამბობენ, რომ ზუგდიდის შემთხვევის მსგავსი არსად ხდება.***

– სიმართლე გითხრათ, ყაჩაღობების, ძარცვისა და მძევლად აყვანის სხვაგან მომხდარი ფაქტები არ შემისწავლია. დეტალურად არ ვიცი, რა არის უფრო გავრცელებული. ერთი რამ შემიძლია დარწმუნებით ვთქვა – იმ დროს, როცა მძევლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, შოუების მოწყობა დაუშვებელია.

***– დააკონკრეტეთ.***

– პოლიტიკოსები, მაჟორიტარობის კანდიდატები სხვადასხვა ოპოზიციური პარტიიდან ამ დროს ყველანაირად ცდილობდნენ ყურადღების მიქცევას. ზოგმა მძევლების ჩანაცვლება მოინდომა, ზოგი გაბრაზდა. იყო შეხლა-შემოხლა და ხმაური. მე ბანკის შენობასთან ვიმყოფებოდი და ამ შოუებს პირდაპირ ვხედავდი.

***– ბანკის შენობასთან თქვენც იმყოფებოდით?***

– დიახ. რეგიონში ვიყავი და როცა ეს მოხდა, ადგილზე მივედი. მძევლებს შორის იყო ჩვენი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზუგდიდში გიორგი მორგოშია. ბანკთან მის ახლობლებთან მივედით, მაგრამ ამის შესახებ არ გვიყვირია, პოლიტიკური განცხადებები არ გაგვიკეთებია და ყურადღება არ მიგვიპყრია. აგერ, ახლა, თქვენთან ვამბობ ამას. ვღელავდით, მაგრამ ვცდილობდით, სიმშვიდე შეგვენარჩუნებინა. ასეთ დროს პოლიტიკის გარევა არაფრით არ შეიძლება, მით უმეტეს, გულის ამრევია პოლიტიკური შოუების მოწყობა.

***– ორიოდე დღის წინ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ ბინძური კამპანიის მიუხედავად, ამ პარტიის რეიტინგი 55-დან 60%-მდეა. თქვენი დაკვირვებით, რეალობა როგორია?***

– დავდივარ, ხალხს ვხვდები. აქედან გამომდინარე, მე მმართველი პარტიის ადგილზე ასეთი მოლოდინი არ მექნებოდა. მაღალი ციფრების დასახელებას თავისი მიზანი აქვს – „ოცნება“ თავის მომხრეებს აგულიანებს. ეს ჩვეულებრივი პოლიტტექნოლოგიაა. ზუსტ მონაცემებს 31 ოქტომბერს, ხმების დათვლის შემდეგ ვნახავთ. არა მგონია, 60% რომელიმე პარტიას ჰქონდეს.

***– პარტიას შეიძლება არ ჰქონდეს, მაგრამ ოპოზიცია ჯამში ელის დიდ შედეგს.***

– ყველას აქვს თავისი ვარაუდის გამოთქმის უფლება. ამ ოპოზიციის ზეიმი ნაადრევია. ჩემი ვარაუდით, პროპორციულ ნაწილში „ქართული ოცნება“ აიღებს 40-43%-ს. არის ასევე მაჟორიტარული არჩევნები. ზოგან იქნება მეორე ტურები. საბოლოოდ, დადგება კოალიციური ხელისუფლების აუცილებლობა. „ოცნებისა“ იქნება კოალიცია თუ ოპოზიციური ერთობისა, ამომრჩეველზეა დამოკიდებული.

***– არჩევნების შედეგს ყველა ციფრების გამოცხადებით არ ელოდება. ისევ ხშირია გამონათქვამები 1 ნოემბრიდან შედეგების ქუჩაში მოსალოდნელ გაპროტესტებაზე.***

– მეც მესმის განცხადებები, რომ არჩევნების მასობრივად გაყალბებას მოჰყვება პროტესტი. არა მგონია, მასობრივი გაყალბება იყოს. ამჟამად გვაქვს ისეთი კანონმდებლობა, რომელიც მაქსიმალურად გამჭვირვალე პროცესს გულისხმობს და შეუძლებელს ხდის გაყალბებას. თუ იქნება მცირე რაოდენობით დარღვევები, ეს სურათს არ შეცვლის. მასობრივ გაყალბებას არ დაუშვებენ საქართველოს საერთაშორისო პარტნიორები. ეს, პირველ რიგში, ხელისუფლებას უნდა ესმოდეს. ხელისუფლებამ ამის შესახებ რჩევები და გაფრთხილებები ბევრჯერ მიიღო.

# „ზუგდიდში ბანკში შეჭრა ტერორისტული აქტი იყო“

## ვახტანგ მაისაია: „ჩატარებული სპეცოპერაცია წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**

***– ბატონო ვახტანგ, როგორ აფასებთ იმ მოვლენას, რომელიც ხდებოდა ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალში და არა მარტო ფილიალში? ამ მოვლენას შემდეგაც ჰქონდა გაგრძელება.***

– დიახ, ქობულეთში ჰქონდა გაგრძელება. ქობულეთში დააყაჩაღეს ინკასატორი და 75 ათასი ლარი წაიღეს.

***– ამ დღეს შეიარაღებული თავდასხმაც იყო ქვემო ქართლში „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატ მიშველიანის შტაბზე.***

– ეს თავდასხმა, შეიძლება, უბრალოდ, დაემთხვა. მმართველი პარტიის შტაბბინაზე მოხდა თავდასხმა, რომელიც სისხლიანი გარჩევით დასრულდა. ამას, შეიძლება, ტერაქტის კვალიფიკაცია მიენიჭოს იმ მოვლენების გათვალისწინებით, რომლებიც, ზოგადად, საქართველოში ვითარდებოდა.

მე არ ვიცი, დეტალურად რა მოხდა და გამოძიება რას დაადგენს, მაგრამ, ჩემი აზრით, ჯობდა, ტერაქტის მუხლით აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე. შემდეგ გამოძიებას, შეიძლებოდა, პოზიცია შეეცვალა.

***– ამ შემთხვევაში რატომ ტერაქტის კვალიფიკაცია?***

– იმიტომ, რომ მმართველი პარტიის შტაბბინაზე თავდასხმა არის პოლიტიკური ქმედება. ეს არ არის კრიმინალი. ნებისმიერ შემთხვევაში ტერორისტული აქტია. ტერმინი „ტერორისტული“ შეესაბამება პოლიტიკურ მოვლენას. თუ ამ ძალადობას აქვს პოლიტიკური მიზნები და პოლიტიკური სარჩული, მაშინ ის თავისი არსით ტერორისტული ქმედებაა.

***– თუმცა ნაცოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ხელისუფლებას კრიმინალი გაექცა.***

– არ ვიცი, რას აცხადებს ოპოზიცია. ოპოზიციის არც ერთი ძალა ჩემთვის ავტორიტეტი არ არის. მე ვარ ჩემი დარგის სპეციალისტი და პროფესიონალი, შემიძლია, ჩემს სპეციალობაში კომპეტენტური აზრი გამოვთქვა ყოველგვარი პროფანების გარეშე.

ანუ „ოცნების“ შტაბზე თავდასხმას შეიძლება მივცეთ ტერორისტული ბრძოლის კვალიფიკაცია. გამოძიება რას დაადგენს და რა იყო, ეს ცალკე საუბრის თემაა.

იმ პროცესებში კი, რომლებიც ვითარდებოდა ქობულეთსა და ზუგდიდში, უკვე ტერორისტული მდგენელის სერია შეიძლება გამოიკვეთოს. ზუგდიდში იყო დაყაჩაღების ეგიდით ჩატარებული ერთგვარი აქცია, რომელიც ყველა მეთოდითა და სტილით ტერორისტული აქტი იყო.

ზუგდიდში ტერორისტული ოპერაცია ჩატარდა. ეს იყო ტერორისტული აქტი, შენიღბული კრიმინალური ელფერით, მით უმეტეს, როგორც ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მითხრა, გომელაურმა განაცხადა, რომ ტერორისტს 10 თანამზრახველი ჰყოლია ადგილზე. თუ ასეა, მაშინ მით უფრო ეს იყო ტერორისტული ოპერაცია, ჩატარებული გარკვეული ჯგუფის მიერ.

თვითონ იმ პიროვნების ჩაცმულობა, გადაადგილების მანერა, იარაღის გამოყენების სტილი და მეთოდები, რომლითაც ის გამოირჩეოდა – მძევლების აყვანით, შენობის დაკავებით, საბრძოლო ელემენტების გამოყენებით, ადამიანების ტერორიზებით, ამაზე მიუთითებს.

***– იგივე ბანკში შესვლამდე ავტომატიდან რომ გაისროლა და შემდეგ შევიდა ბანკში.***

– დიახ, ეს პირდაპირ ფსიქოლოგიური ომისთვის დამახასიათებელი ელემენტების, ფსიქოლოგიური ბრძოლის ელემენტების კარგად ფლობისა და უნარიანობის გამოვლენით, იყო კარგად მომზადებული მებრძოლი, რომელმაც თავისი მისია, სამწუხაროდ, წარმატებით შეასრულა. წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი სპეცსამსახურების მიერ გადადგმული ნაბიჯები – არ დაიღვარა სისხლი, 43 მძევალი ცოცხალია. ამიტომ წარმატებულ ოპერაციად ითვლება.



მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს საკმაოდ სერიოზული ჩავარდნა. ის ადამიანი, რომელიც უნდა დასჯილიყო, გაიქცა და გაიტაცა საკმაოდ სერიოზული თანხა.

***– ვინმემ ხომ არ შემოაგზავნა? შეიძლება ვთქვათ, რომ ასეთი ტერორისტული აქტი დამოუკიდებლად მოამზადა?***

– არავითარ შემთხვევაში. შეუძლებელია დამოუკიდებლად ასეთი აქტის მომზადება და განხორციელება. თუ დავეყრდნობით ჩვენი შს მინისტრის განცხადებას, რომ ტერორისტს 10 თანამებრძოლი შეიძლება ჰყოლოდა, მაშინ ეს ამ დანაშაულის კონტექსტს მთლიანად ცვლის.

გასაკვირი იყო მოთხოვნილი თანხის რაოდენობა. ტერორისტები ყოველთვის დიდ თანხას ითხოვენ. მან მოითხოვა ნახევარი მილიონი, იცოდა, დიდი თანხის თან წაღება გაუჭირდებოდა და გაითვალისწინა, რომ თანხა ყოფილიყო მობილურობისთვის შესაფერისი, მაგრამ აქ თანხაზე არ იყო საუბარი. ტერორისტის მოტივაცია დიდი თანხის მიღება კი არა, საქართველოსთვის არასტაბილური ქვეყნის იმიჯის შექმნა იყო.

***– წინასაარჩევნოდ?***

– თუნდაც წინასაარჩევნოდ (ეგეც არ არის გამორიცხული) არასტაბილური ვითარების შექმნა. ალბათ, ამაზე იყო გათვლილი.

***– რამდენიმე დღის წინ ამერიკის ერთ-ერთი კვლევითი ორგანიზაციის დირექტორმა წერილი გამოაქვეყნა, რომ საქართველო კავკასიაში იმ ვითარებაში, როდესაც მის სიახლოვეს, ირგვლივ ომია, მშვიდ ვითარებას ინარჩუნებს და აქებდა საქართველოს. როგორც ჩანს, ამ სიმშვიდის დარღვევასაც ემსახურებოდა ტერორისტული ქმედებები.***

– გამორიცხული არ არის. სრულიად გეთანხმებით და თქვენს მოსაზრებას ვიზიარებ. აქედან გამომდინარე, იკვეთება ტერორისტული აქტის სერიოზული მომზადების ფაქტი, რომელიც დაიგეგმა და ამ ადამიანმა შეასრულა.

***– ანუ ამით „ვილაცამ“ შეიძლება აჩვენა ამერიკას, რომ საქართველოშიც არ არის მშვიდი ვითარება.***

– რა თქმა უნდა. ასეთი ქმედებები სპეცსამსახურების მიერ შექმნილი რუსული ვარიანტია.

***– თანხას ისე, უბრალოდ ხომ არ მისცემდნენ, დანიშნული, დანომრილი არ იქნება?***

– იმ მოკლე პერიოდში როგორ დანიშნავდნენ ამხელა თანხას. თანხა მოკლე პერიოდში შეგროვდა და როგორ მოხერხდებოდა თანხის დანომვრა, ვერ გეტყვით. ნახევარი მილიონი კუპიურების დანიშვნა სახუმარო საქმე არ არის. ამას სჭირდება გარკვეული დრო და არა ერთი-ორი საათი.

თუ ეს კუპიურები გამოიყენება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, ამან შეიძლება პრობლემები შექმნას მის გამოყენებაში.

***– რომელი ქვეყნის სპეცსამსახურებს შეიძლებოდა შემოეგზავნათ ეს ტერორისტი?***

– არ მინდა, ჩემი ვარაუდები გამოვთქვა და გამოძიებას წინ გადავეღობო. იმედია, გამოძიება ამას გამოავლენს. სავარაუდოდ, ალბათ, ის სპეცსამსახურები არიან ტერორისტის შემომგზავნნი, რომლისკენაც მიისწრაფოდა ის პიროვნება. რამდენად მე ვიცი, თითქოს ოკუპირებულ აფხაზეთში უნდოდა გადასვლა. შეიძლება, ამაზე იყოს საუბარი. ჩვენ რუსეთთან საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით და, მისი სპეცსამსახურების წარმომადგენლები რომ მოვიაზროთ ასეთი ქმედებების განმხორციელებლად, სავსებით ლოგიკური იქნება, თუმცა ამას მტკიცებით ფორმაში ვერ ვიტყვი. ეს მხოლოდ ვერსიაა,

***– აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანმა სერგეი შამბამ განაცხადა, რომ თუ აფხაზეთში ვინმე ასეთი შევა, ისინი მას საქართველოს გადასცემენ.***

– ეს ზღაპრები თავის თანამემამულეებს მოუყვეს. საერთოდ, ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. ხელისუფლების ლეგიტიმურობა ეჭვის ქვეშ დგას. ყოველ თვეს პრემიერ-მინისტრებსა და პრეზიდენტებს ცვლიან. არის მაღალი კორუფცია, კრიმინალის მაღალი დონე.

ასე რომ, ზღაპარია, თითქოს აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლები ტერორისტს დაიჭერენ და გადმოგვცემენ. ეს არის შეუმდგარი ტიპის ტერიტორია, რომელსაც ჰქვია ოკუპირებული აფხაზეთი. ოკუპაციის გამო ნებისმიერი ხელისუფლების ლიგიტიმურობა ისედაც ეჭვის ქვეშ დგება და თან იმდენად ბევრჯერ ხდება გადატრიალებები.

***– არ არის იმის საშუალებები, რომ აღმოაჩინონ ტერორისტის გადაადგილების მარშრუტი და გაიგონ, საით წავიდა?***

– არ ვიცი, ტექნიკური საშუალებები გამოყენებული თუ იყო.

***– ვთქვათ, იმავე დრონის გამოყენება ხომ არ შეიძლებოდა?***

– თუ ტყე გაუვალია, იქ დრონების გამოყენება ცოტა რთულია, თან, როგორც ჩანს, ამ პირმა კარგად იცოდა ადგილმდებარეობა, სადაც გადაადგილდებოდა.

***– ანუ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამეგრელოდან იყო?***

– შეიძლება, ადგილობრივი მცხოვრები იყოს, რომელმაც კარგად იცის გეოგრაფიული მდებარეობა. მე ასეთი აზრი მრჩება. ის პროფესიონალია. ტელევიზორში ვუყურე – მან ძალიან კარგად გააკეთა ოპერატიული მარყუჟი, როდესაც მოაწყო დიდი ვოიაჟი (პირობითად) – ზუგდიდიდან ჯერ მარტვილში ავიდა, შემდეგ წალენჯიხისკენ წავიდა, შემდეგ ისევ მარტვილში დაბრუნდა და ამ გზით ზუგდიდის მიმართულებით იარა, ტყესთან ახლოს მძევლები გაათავისუფლა და მიიმალა ტყის მასივში. როგორც ჩანს, მას ოპერატიული მანევრირებისა და მეთვალყურეობის უნარი გააჩნია.

***– ამ პირის დასაკავებლად შს სამინისტროს ხელმძღვანელობას თუ შეეძლო რაიმე და არ გააკეთა?***

– ამ პერიოდში ცოტა რთული იყო მეტის გაკეთება, იმდენად მოკლე დროში განვითარდა სიტუაცია. ამ პიროვნებამ გამოიყენა ხელყუმბარა, რომელიც საშიში, საბრძოლოა და მას შეეძლო მოეტანა სერიოზული ზიანი არა მხოლოდ მოსახლეობისთვის, არამედ იმავე შენობა-ნაგებობებისთვისაც. არაერთი ასეთი ხელყუმბარა ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება მოერიდა სისხლისღვრას და მაღალი მოქალაქეობრივი პოზიცია გამოიჩინა. ამაზე ვერ დავძრახავ ჩვენს შს სამინისტროს, ჩვენს სამართალდამცავებს და ვერ ვიტყვი, რომ, დავუშვათ, რაღაც შეცდომები გამოავლინეს.

მე, უბრალოდ, იმას ვიტყვი, რომ ასეთი სცენარები, ალბათ, წინასწარ უნდა ყოფილიყო დამუშავებული და ამაზე უნდა ემსჯელათ, მით უმეტეს, რომ ჩვენ გვქონდა მსგავსი პრეცედენტი.

***– რას იტყვით ფორმაზე, რომელიც ტერორისტს ეცვა?***

– ასეთი ფორმა შეიძლება ნებისმიერმა ტერორისტმა ჩაიცვას.

***– ალბათ გაირკვევა, ეს ტერორისტი რუსეთმა შემოგვიგზავნა, ისლამურმა სახელმწიფომ თუ ვინმე სხვამ.***

– რთულია თქმა, უფრო მეტად სპეცსამსახურების კვალი ჩანს, რადგან საკმაოდ მაღალ დონეზე იყო შესრულებული ყველაფერი და სცილდება ჩვეულებრივ კრიმინალურ თარეშს. კრიმინალური ტერორიზმის ფაქტი მაინც უნდა დაფიქსირდეს. ტერორიზმის ასეთი მიმართულებაც არის.

# თბილისში ტერაბანკის ფილიალში პირი შეღწევას ცდილობდა



25 ოქტომბერს თბილისში, ვირსალაძის ქუჩაზე, ტერაბანკის ერთ-ერთი ფილიალში სპეციალური ხელსაწყოებით შეიარაღებული პირი შენობაში შეღწევას ცდილობდა. თანამშრომლებმა პოლიცია გამოიძახეს, რის შემდეგაც თავდამსხმელი ადგილიდან მიიმალა. თვითმხილველთა ინფორმაციით, მან ვერაფრის წაღება ვერ შეძლო.

ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

# ბათუმში პოლიციელი გოჩა ვანაძე ცემეს

ბათუმში კრიმინალური გარჩევის დროს პოლიციის მაღალჩინოსანი ცემეს.

„მთავარი არხის" ინფორმაციით, მეშვიდე განყოფილების უფროსი გოჩა ვანაძე მაშინ ცემეს, როცა 10-15 კრიმინალის ჯგუფურ ჩხუბში ჩაერია. მას დაზიანებები თავში მიაყენეს. სად იმყოფება ნაცემი პოლიციელი, უცნობია. ის სამსახურში არ გამოჩენილა. შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა. გარჩევის მონაწილეებიდან ერთი პირი პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით დააკავეს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ კი ის 3.000-ლარიანი გირაოთი გაათავისუფლა.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ავარიას 28 წლის მამაკაცი ემსხვერპლა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ავარიას 28 წლის მამაკაცი ემსხვერპლა. შემთხვევა სოფელ იორმუღანლოსთან იმ დროს მოხდა, როდესაც ქვეითი გზაზე გადასვლას ცდილობდა.

მიღებული დაზიანებებით მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

# ლაგოდეხში 2 მაღაზია გაქურდეს



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოდნისკარში 2 სასურსათო მაღაზია გაქურდეს.

წაღებულია სწრაფი ჩარიცხვის აპარატი, პროდუქტი, ტკბილეული, თამბაქოს ნაწარმი და ალკოჰოლური სასმელები. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ, რომლებმაც მაღაზიის მეპატრონეები დაკითხეს. ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელი ამბობს, რომ მძარცველი შენობაში მთავარი კარიდან შევიდა.

# პოლიციამ ხელვაჩაურში ქურდობის ფაქტზე 3 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ბრალდებით სამი პირი: 1987 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ზ.ს., 1996 წელს დაბადებული გ.ნ. და 1995 წელს დაბადებული რ.ჰ. დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს, ღამით, ფარულად შეაღწიეს ხელვაჩაურის დასახლებაში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, საიდაც უკანონოდ დაეუფლნენ სამკაულებს, მაჯის საათს, საფულეს და ცეცხლგამძლე სეიფის გასაღებს. ამავდროულად, საცხოვრებლის პატრონს, 1969 წელს დაბადებულ ბ.ხ.-ს, სახის არეში დაზიანება მიაყენეს და ნაქურდალი ნივთებით შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

პოლიციამ ბრალდებულები მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავა. სამართალდამცველებმა ნაქურდალი ნივთების ნაწილი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს", – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# „თბილისშია წასულიო და რატომ, არ ვიცი"

## შსს-მ დაადასტურა, რომ ზუგდიდში ბანკზე თავდამსხმელი ბადრი ესებუაა

ზუგდიდის ცენტრში „საქართველოს ბანკზე" თავდამსხმელის ვინაობა 25 ოქტომბერს, საღამოს, მთავარმა არხმა გაასაჯაროვა – ის ბადრი ესებუა გამოდგა.

„კურიერი" ბადრი ესებუას ოჯახსა და ახლობლებს ესაუბრა. ესებუას მშობლები დუმილს ამჯობინებენ. ნათესავების თქმით კი, ბადრი ესებუა ბოლოს 23 ოქტომბერს საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში ნახეს.

მათივე თქმით, ბადრი ესებუა თბილისში იმყოფება, თუმცა რა მიზეზით იმყოფება ის დედაქალაქში, ნათესავები ვერ აკონკრეტებენ.

– თბილისშიაო წასული და რატომ წავიდა ახლა, მაგას ვერ გეტყვი, შეიძლება, პაემანზე წავიდა. სენაკის ბაზაში მსახურობდა, 2008 წლის ომის შემდეგ არტილერისტი იყო, მგონი. ომის მონაწილეც არის, იმის შემდეგ მას სამხედრო ფორმა არ ჩაუცვამს. რატომ არ არის, იცით, ამის გამკეთებელი? – იმიტომ, რომ სიმაღლე არ ემთხვევა. სენაკის ბაზაში ხომ არის ეს მონაცემები, წონაც არის, ზომაც, ფეხი რა ზომაც აქვს, თავის ზომაც არის აღებული, ეს მონაცემები შეადარონ ვიზუალურად, ბანკში ვინც იყო იმისას, – აცხადებს ბადრი ესებუას ნათესავი.

– ცხვრებს მწყემსავდა აქ, ყოველ დილით მიჰყავდა. აქ იყო სახლში, 3 დღის წინ აქ იყო, მომესალმა, ვსაუბრობდით... 2 მეტრია ის კაცი, ტელევიზორში ვინც გვანახეს, ტერორისტი და ეს პატარა ბიჭია, – განაცხადა ესებუას ნათესავმა.

გუშინ საღამოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა, რომ ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის" ფილიალზე მომხდარ თავდასხმა



ბადრი ესებუამ განახორციელა.

ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში ბრიფინგზე მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ ბორცვაძემ განაცხადა.

როგორც ბორცვაძემ აღნიშნა, ესებუას იდენტიფიცირება თავდასხმის ღამესვე მოხდა.

– მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს გავრცელებული განცხადებისა და მასში აღნიშნული მოწოდების მიუხედავად, გარკვეულმა მედიასაშუალებებმა ზუგდიდში „საქართველოს ბანკის" ფილიალზე მომხდარ თავდასხმაში იდენტიფიცირებული პირის ფოტოებისა და ვინაობის შესახებ ინფორმაცია გაავრცელეს იმაზე ადრე, ვიდრე ამას სამინისტრო დაადასტურებდა.

ასეთი სიმძიმის დანაშაულზე ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებების პარალელურად ინფორმაციის გავრცელება ხელს უშლის გამოძიების პროცესს, მიმდინარე და დაგეგმილ საპოლიციო ღონისძიებებს. ვინაიდან საზოგადოების ნაწილისთვის უკვე ცნობილია აღნიშნული პირის ვინაობა პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციული, სამძებრო ღონისძიებების შედეგად, თავდასხმაში მონაწილე იდენტიფიცირებული პირია 1988 წელს დაბადებული ბადრი ესებუა.

მისი ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით პოლიცია საგამოძიებო სამძებრო მოქმედებებს აქტიურად განაგრძობს, – განაცხადა ბორცვაძემ.

ვლადიმერ ბორცვაძის თქმით, მცდარია ინფორმაცია, რომ ბადრი ესებუა შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა და შემდეგ ის გაიქცა.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ბადრი ესებუას დააკავებენ, საზოგადოება უწყებისგან დაუყოვნებლივ მიიღებს ინფორმაციას.

– უტიფრად სიცრუის ტირაჟირება და გავრცელებაა ის, რომ თითქოს ბოროტმოქმედი დავაკავეთ და გაგვექცა, ტყუილია ეს ყველაფერი, არ შეესაბამება სიმართლეს. გპირდებით, დაუყოვნებლივ, მას შემდეგ, რაც ბოროტმოქმედის დაკავება მოხდება, ამის შესახებ ინფორმაციას პირველი ჩვენგან გაიგებთ, – განაცხადა ბორცვაძემ.

მისივე თქმით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნით და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

# ვალერიან ნემსიწვერიძის მკვლელის ვინაობა დადგენილია

## რას ამბობს ადვოკატი წულეისკირი



შინაგან საქმეთა სამინისტრო ავჭალაში მოკლული 41 წლის მამაკაცის საქმის გახსნაზე უკვე მე-5 დღეა მუშაობს. „კურიერის" ინფორმაციით, ვალერიან ნემსიწვერიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი უკვე იდენტიფიცირებულია და პოლიცია მის დაკავებას ცდილობს.

გარდაცვლილის ოჯახის ადვოკატი, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, საქმის დეტალებზე არ საუბრობს.

ნიკოლოზ წულეისკირი მომხდართან დაკავშირებით გავრცელებულ ყველა ვერსიას უარყოფს და მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ მსხვერპლი და სავარაუდო დამნაშავე ერთმანეთს ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე შეხვდნენ.

– 70-მდე ნივთმტკიცებაა ამოღებული. წარმოგიდგენიათ?! 70-მდე ნივთმტკიცება დალუქულია, ერთი გამომძიებელი კი არა, რამდენიმე გამომძიებელი დღეს და ღამეს ასწორებს, რომ აღნიშნული საქმე უახლოეს მომავალში გაიხსნას. ამ ნივთმტკიცებებს სჭირდება ექსპერტიზები, ხელის ნიმუშების, კვალის, ერთ დღეში ხომ არ ხდება ეს ყველაფერი.

გამოძიების ინტერესებიდან ვამბობ, გინდაც იარალთან დაკავშირებით. წარმოიდგინეთ, წინა დღეს იმყოფებოდნენ კახეთში, მეუღლესთან, ოჯახში იმყოფებოდნენ. მანქანა არის მეუღლის. ის მანქანა, რომლითაც ყოველთვის სამი არასრულწლოვანი ბავშვი მოძრაობს. მეუღლემ თვითონ გაასუფთავა ის მანქანა, ამიტომ იარაღზე საუბარი სრულიად აბსურდულია.

განვაცხადე, რომ მაღაზიის გახსნას აპირებდნენ და ეს პიროვნება ზუსტად მაგიტომ წამოვიდა. მანდაც რომ გაიარა, ყიდულობდნენ რაღაც მასალებს და სწორედ ამით იყო დაკავებული, – განაცხადა ნიკოლოზ წულეისკირმა.

შეგახსენებთ, რომ 23 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, ვალერიან ნემსიწვერიძეს საკუთარ მანქანაში რამდენჯერმე ესროლეს. დამნაშავემ მიმალვა შეძლო და მის დასაკავებლად სამუშაოები ისევ გრძელდება.

# „უცებ ცუდად გახდა და ორმოში ჩაიქცა"

## რუსთავში კოვიდსასტუმროდან გამოსული 21 წლის მამაკაცი გარდაიცვალა

რუსთავში 21 წლის მამაკაცი გარდაიცვალა.

როგორც გარდაცვლილი მამაკაცის მეგობარმა „ინფო რუსთავს" განუცხადა, მამაკაცი მოულოდნელად ცუდად გახდა და წაიქცა.

– ბიჭებს მუშაობა უნდა დაეწყოთ და გაუხდათ ცუდად, წაიქცა ორმოში. ამოიყვანეს და სანამ სასწრაფო მოვიდა თვითონ რაც შეძლეს, გულის მასაჟები გაუკეთეს. თუმცა ვერ გადარჩა, – განუცხადა გარდაცვლილის მეგობარმა „ინფო რუსთავს".

მისივე თქმით, ახალგაზრდა მამაკაცი კოვიდსასტუმროში კორონავირუსზე მკურნალობდა და წინა დღეს გამოწერეს.

სამედიცინო უზრუნველყოფისა და გამოძახებათა მართვის დეპარტამენტის უფროსის, ამირან გოგიტიძის განცხადებით, 21 წლის მამაკაცის გარდაცვალების სავარაუდო მიზეზი გულის უეცარი გაჩერება გახდა.

მისივე თქმით, მამაკაცი კორონავირუსისგან გამოჯანმრთელებული იყო.

– აღნიშნული პირი იყო კოვიდგამოჯანმრთელებული. 3 ოქტომბერს იგი მოთავსდა ' ,კარანტინო სივრცეში კოვიდინფიცირებულთან კონტაქტის გამო. საკარანტინო პერიოდის გასვლის შემდეგ მოხდა მისი „პისიარ" ტესტირება და დაუდგინდა კოვიდინფექცია. შემდგომში კოვიდსასტუმროში მოხდა ექიმის მიერ მეთვალყურეობის გაგრძელება, პროტოკოლით განსაზღვრული ვადის შემდეგ მოხდა მისი გაწერა 25 ოქტომბერს. აღნიშნული პირი გამოჯანმრთელებული იყო და მისი დაკრძალვა არ მოხდება პროტოკოლის მიხედვით.

დღეს იგი გარდაცვლილი ნახეს. საცხოვრებელი სახლის ეზოში ასრულებდა სამუშაოებს. გარდაცვალების სავარაუდო მიზეზად ამ ეტაპზე მიიჩნევა გულის უეცარი გაჩერება, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა, – განაცხადა გოგიტიძემ.

მისივე თქმით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟის მხრიდან დაგვიანების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

– მინდა გითხრათ, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟის მხრიდან დაგვიანების ფაქტს ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან გამოძახების დაფიქსირებისთანავე 14:42 წუთზე მყისიერად მოხდა ეკიპაჟის გადაცემა.

მინდა, ხაზი გავუსვა, რომ მყისიერად მოხდა ამ შემთხვევაზე რეაგირება. გულის უეცარი გაჩერება გულისხმობს გარდაცვალების დადგომას მყისიერად. შესაბამისად, ეკიპაჟს ადგილზე მისვლისას გარდაცვლილი დახვდა პაციენტი, – განაცხადა გოგიტიძემ.

# თბილისის აეროპორტში ნარკოტიკების შემცველი მედიკამენტების მალულად შემოტანა გამოავლინეს



თბილისის აეროპორტში მოქალაქის ბარგში 290 აბი მეტადონი აღმოაჩინეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს გადაეცა.

„საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი" ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების ქვეყნის საზღვარზე უკანონოდ შემოტანის ფაქტები აღიკვეთა,

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის მ.ქ.-ს კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი – 290 აბი მეტადონი აღმოაჩინეს", – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# თეთრიწყაროში ცოლ-ქმრის დაყაჩაღების ფაქტზე 2 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქვემო ქართლში 23 ოქტომბერს მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნეს.

შსს-ს ცნობით, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით დაკავებულია 2 პირი: 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ.ი. და 1992 წელს დაბადებული ი.კ.

დანაშაული 8-?დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ბედიანის ხეობის მიმდებარედ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კლდეისში მცხოვრები ცოლ-ქმრის, ჩინეთის მოქალაქის პ.ქ.-ის და ავსტრალიის მოქალაქის ჯ.ფ.-ის სახლში მოტყუებით, უკანონოდ შეაღწიეს. ლ.ი.-მ და ი.კ.-მ ცოლ-ქმარსა და მათ ორ შვილს ხელ-ფეხი შეუკრეს, რის შემდეგაც ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით სიცოცხლის მოსპობის მუქარით უკანონოდ დაეუფლნენ სახლში არსებულ 16100 ლარს, ლეპტოპს, მობილურ ტელეფონებს და შემთხვევის ადგილიდან ჯ.ფ.-ის კუთვნილი ავტომობილით მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა გატაცებული ავტომობილი მომხდარიდან მალევე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიტოვებული იპოვეს.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ბრალდებულების მიერ ყაჩაღობის გზით დაუფლებული თანხის ნაწილი, ლეპტოპი და მობილური ტელეფონი.

ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს", – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ერდოღანი თურქებს მოუწოდებს, არ იყიდონ ფრანგული პროდუქცია



თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი თურქებს მოუწოდებს, ფრანგული საქონელი არასდროს შეისყიდონ.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის მიერ ბოლო დროს ისლამისტების შესახებ გაკეთებული განცხადებების შემდეგ იორდანიის, კატარისა და კუვეიტის ზოგიერთ სუპერმარკეტში ფრანგული პროდუქცია აღარ იყიდება.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ „უსაფუძვლო" მოწოდებები ბოიკოტისკენ „რადიკალურმა უმცირესობამ წამოიწყო".

„ბოიკოტის შესახებ მოწოდებები, ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ყველა შეტევა, რომელსაც ბიძგს რადიკალური უმცირესობა აძლევს, უსაფუძვლოა და დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს", – აღნიშნულია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

რამდენიმე დღის წინ პარიზის ერთ-ერთი სკოლის პედაგოგის მკვლელობის შესახებ საუბრისას საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის „ისლამისტური სეპარატიზმის" წინააღმდეგ იბრძოლებს. მისივე თქმით, „ისლამისტური სეპარატიზმი" საფრთხეს უქმნის საფრანგეთს, რადგან იგი ყველაფერზე მაღლა საკუთარ კანონებს აყენებს და ხშირად კონტრსაზოგადოებას ქმნის.

ამ კომენტარის შემდეგ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ემანუელ მაკრონი მუსლიმებთან და ისლამთან დამოკიდებულების გამო გააკრიტიკა.

– რა პრობლემა აქვს პიროვნებას, სახელად მაკრონს, მუსლიმებთან და ისლამთან? მაკრონს ფსიქიკურ დონეზე მკურნალობა სჭირდება, – განაცხადა ერდოღანმა.

აღნიშნული კომენტარის შემდეგ საფრანგეთმა ანკარიდან ელჩი გაიწვია.

# თბილისში გამართული იმერული დერბი სამტრედიამ მოიგო



ჩიხურა-სამტრედია 0:1
თბილისი, მიხეილ მესხი
0:1 თოთაძე (87პ)

**ჩიხურა:** ზარქუა, კამლაძე, ჯაფიაშვილი, დეკანოიძე (ლავთაძე 65), გვაზავა, კახაბრიშვილი, მისტულოვი (ბუხაიძე 58), კიკაბიძე, კორიფაძე, ბერეზოვი, ჩიკვაიძე (ჯავაშვილი 78)

**სამტრედია:** სეფიაშვილი, რუხაია (დაფე 46, მესიაჩენკო 72), კილასონია, იმნაძე, ახალაძე (ქოჩალძე 66), ინკუმი, პავიშიჩი, კერძევაძე, სამბუ, თოთაძე, ჟუნიორი

ეროვნული ლიგის მე-14 ტური ჩიხურასა და სამტრედიის დაპირისპირებით გაიხსნა, თუმცა ტური ნაკლული ჩატარდება. უფრო სწორად, 2 მატჩი – დინამო (ბთ)-ლოკომოტივი და დინამო (თბ)-ტორპედო 26 ნოემბერს ჩატარდება. თამაშები კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გადაიდო. რაც შეეხება იმერულ დერბის, რომელიც თბილისში გაიმართა, საკმაოდ მხიარული გამოდგა. მთელი მატჩის განმავლობაში ორივე გუნდს მრავლად ჰქონდა საგოლე მომენტები, მაგრამ გატანამდე საქმე არ მისულა.

ერთადერთი გოლი მატჩის მიწურულს თერთმეტმეტრიანი დარტყმით გავიდა. ლუკა იმნაძის მიმართ წესების დარღვევის გამო დანიშნული პენალტი ზუსტად შეასრულა ლაშა თოთაძემ და გუნდს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა. სამტრედია ამ მოგებით აუტსაიდერთა ზონას დაუსხლტა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 13 | 7 | 5 | 1 | 23-10 | 26 |
| 2.დინამო (თბ) | 12 | 7 | 4 | 1 | 22-6 | 25 |
| 3.დილა | 13 | 6 | 5 | 2 | 23-9 | 23 |
| 4.საბურთალო | 13 | 5 | 5 | 3 | 20-13 | 20 |
| 5.ლოკომოტივი | 12 | 5 | 4 | 3 | 19-15 | 19 |
| 6.ტორპედო | 13 | 4 | 4 | 5 | 13-19 | 16 |
| 7.სამტრედია | 14 | 4 | 4 | 6 | 10-18 | 16 |
| 8.თელავი | 13 | 2 | 9 | 2 | 10-9 | 15 |
| 9.ჩიხურა | 14 | 1 | 3 | 10 | 13-37 | 6 |
| 10.მერანი | 13 | 0 | 5 | 8 | 4-21 | 5 |

# გერმანიის პარლამენტის ვიცეპრეზიდენტი გარდაიცვალა



გერმანიის პარლამენტის ვიცეპრეზიდენტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი თომას ოპერმანი 66 წლის ასაკში გარდაიცვალა.

გამოცემის ცნობით, ოპერმანის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციას გერმანიის შრომის მინისტრი ჰუბერტუს ჰეილიც ადასტურებს.

როგორც ჰეილი სოციალურ ქსელ „ტვიტერში" წერს, ბუნდესტაგის ვიცეპრეზიდენტი მოულოდნელად გარდაიცვალა.

# თურქეთში ტერაქტებია მოსალოდნელი

თანახმად აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებისა, თურქეთის მთელ ტერიტორიაზე ტერაქტებია მოსალოდნელი. სახელმწიფო დეპარტამენტი თურქეთში მყოფ აშშ-ის მოქალაქეებს ურჩევს, გამოიჩინონ სიფხიზლე, მოერიდონ ხალხის თავშეყრის ადგილებსა და ა.შ.

– ტერაქტები ძირითადად ისლამური ექსტრემისტული ორგანიზაციების მხრიდან არის მოსალოდნელი, – იტყობინება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ძიუდოისტთა მედლები რვა თვის შემდეგ



საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა, რომელიც უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტის გრანდ სლემზე 6 სპორტსმენით იყო წარდგენილი, ტურნირი 2 ბრინჯაოს მედლით დაასრულა. ორივე მედალი ყველაზე მძიმე (+100 კგ.) მძიმე წონით კატეგორიაში იქნა მოპოვებული. კვარცხლბეკზე ასვლა გელა ზაალიშვილმა და ლევან მატიაშვილმა მოახერხეს. აღსანიშნავია, რომ 8-თვიანი პაუზის შემდეგ ეს იყო პირველი ტურნირი ძიუდოში.

ზაალიშვილმა ყირგიზ იური კრაკოვეცკის იპონით სძლია, უნგრელ რიჩარდ სიპოჩთან კი ვაზარით აგებდა, თუმცა მეტოქეს მე-3 შიდო აჰკიდა და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მომავალ ჩემპიონთან – რუს ინალ ტასოევთან იპონზე დაეცა. ქართველი ძიუდოისტი ამ ორთაბრძოლას ვაზარით იგებდა, თუმცა საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოახერხა. ამგვარად, გელა რეპეშაჟში გადაერთო, სადაც უზბეკი ბეკმუროდ ოლტიბოევი დააიპონა, ბრინჯაოს მედლისთვის კი ნიდერლანდელ იურ სპიიკერს ასევე წმინდად სძლია.

იგივე გზა გაიარა მატიაშვილმაც, რომელმაც საწყის წრეში იპონით ყაზახ იერასილ კაჟიბაევს აჯობა, ბრაზილიელ დავიდ მოურას 3 შიდო მიაღებინა, მეოთხედფინალში კი მომავალ ფინალისტთან – რუს ტამერლან ბაშაევთან ვაზარით დამარცხდა. ლევანიც სანუგეშო რაუნდში აღმოჩნდა, სადაც ბრაზილიის ნაკრების კიდევ ერთი წევრი რაფაელ სილვა იპონზე დასცა, კვარცხლბეკზე ასასვლელად ებრაელ ორ საფნს გაეჯიბრა და ვაზარით აჯობა.

ბუდაპეშტის გრანდ სლემზე ძალები ბაგრატ ნინიაშვილმა (66 კგ.), ფრიდონ გიგანმა, ლაშა შავდათუაშვილმა (ორივე – 73 კგ.) და ავთანდილ ჭრიკიშვილმა (90 კგ.) ცადეს, მაგრამ პირველივე შეხვედრები დათმეს.

საქართველოს ნაკრებმა ვაჟთა გუნდურ ჩათვლაში მე-8 ადგილი დაიკავა.

# ქალმა ბავშვი საყვარლისგან გააჩინა და ალიმენტის გადახდა ქმარს დააკისრა

ფინეთის სასამართლომ ქალაქ ესპოს მცხოვრებს არაღვიძლ შვილზე ალიმენტის გადახდა დააკისრა.

მამაკაცის ცოლმა ბავშვი 2014 წელს გააჩინა. ორი წლის შემდეგ გაირკვა, რომ ბავშვის ბიოლოგიური მამა იყო არა ქალის ქმარი, არამედ მისი საყვარელი. როდესაც მეუღლის ღალატის შესახებ ცნობილი გახდა მამაკაცისთვის, განქორწინებაზე განცხადება შეიტანა. მან სასამართლოს მოსთხოვა, მამობის მოვალეობის შესრულებისგან გაეთავისუფლებინა, მათ შორის, ალიმენტის გადახდისგანაც. მისი მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

სასამართლომ დაადგინა, რომ მამაკაცმა ალიმენტის გადახდის მოვალეობისგან გათავისუფლებაზე სარჩელი რამდენიმე თვის დაგვიანებით შეიტანა. ფინეთის კანონმდებლობის თანახმად, მოქალაქეს ორი წლის ვადა აქვს მამობაზე უარის სათქმელად, თუ ბავშვი მისი ბიოლოგიური შვილი არ არის. ეს ვადა ხანგრძლივდება საფუძვლიანი მიზეზების არსებობის შემთხვევაში.

მამაკაცი ამტკიცებს, რომ მეუღლის ღალატის შესახებ გვიან შეიტყო და განქორწინების პროცესი მძიმედ გადაიტანა. მისი თქმით, მას ემოციური სტრესი სტანჯავდა და ამის გამო გაიწელა დნმ-ს ანალიზის ჩატარება. სასამართლომ ეს მიზეზი მისი სარჩელის დასაკმაყოფილებლად არასაკმარისად მიიჩნია.

მოგვიანებით ყოფილმა ცოლმა მამაკაცის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი სასამართლოში და მისთვის ალიმენტის სახით ყოველთვიურად 308 ევროს გადახდის დაკისრებას მიაღწია იმ დრომდე, სანამ მისი შვილი სრულწლოვან ასაკს არ მიაღწევს. გარდა ამისა, მამაკაცს სასამართლო ხარჯების ანაზღაურებაც დაეკისრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# კვარაცხელიას თვალი სევილიამ დაადგა

საფეხბურთო აგენტმა თემურ ლეპსაიამ ერთ-ერთ რუსულ გადაცემაში ქართველი ფეხბურთელის ხვიჩა კვარაცხელიას შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ჩვენებურით ერთ-ერთი ესპანური გრანდია დაინტერესებული.

**თემურ ლეპსაია:**

– კვარაცხელია საქართველოში ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია. ის ასევე საუკეთესო ტალანტია რუსეთში. რუბინში ყოფნისას ვკითხე, თუ როგორ ვარჯიშობდა. ზოგადად, საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არაერთ სამხრეთელ ფეხბურთელს ვარჯიში არ უყვარს, თუმცა კვარაცხელია მათგან განსხვავებულია. გეტყვით, რომ კვარაცხელიას მიმართ ინტერესი სევილიამ გამოამჟღავნა. ესპანურ კლუბს ქართველი საუკეთესოდ დავუხასიათე. არ ვიცი, რა მოხდება, როგორ განვითარდება მისი კარიერა, მაგრამ, თუ საქართველო ევროპის ჩემპიონატზე მოხვდება, რუბინი მას სარფიანად გაყიდის. 2019 წლის ზაფხულში მოსკოვის ლოკომოტივიდან წასვლის შემდეგ კვარაცხელიამ რუბინთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულებას ვადა 2024 წლის ზაფხულში ეწურება. გასულ ზამთარში ყაზანურ კლუბში ლეონიდ სლუცკი მივიდა და მას შემდეგ კვარაცხელიას პროგრესი ძალიან შთამბეჭდავია. მიმდინარე სეზონში ხვიჩა კვარაცხელიამ რუსეთის პრემიერ ლიგაში 12 მატჩი ჩაატარა, 2 გოლი შეაგდო, 1 საგოლე პასი შეასრულა და 3 პენალტი გამოიმუშავა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# მთარგმნელი ხათუნა ცხადაძე იტალიის ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვდა



იტალიის პრეზიდენტ სერჯო მატარელას გადაწყვეტილებით, იტალიის ვარსკვლავის ორდენი – ყოფილი იტალიური სოლიდარობის ვარსკვლავი – გადაეცა ჩვენს თანამემამულეს, უნიჭიერეს ქართველ მთარგმნელს, პროფესორ ხათუნა ცხადაძეს. ორდენი, რომელიც სახელმწიფოს მეორე სამოქალაქო ორდენად არის შეფასებული, წარმოადგენს განსაკუთრებულ ჯილდოს და გადაეცემა იმ ადამიანებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი დამსახურება აქვთ იტალიასა და სხვა ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გაღრმავების, ასევე იტალიასთან განსაკუთრებული კავშირების დამყარების საქმეში.

ორდენი 1947 წლიდან გაიცემა და დღეს მას „იტალიის ვარსკვლავის ორდენი" ეწოდება.

# სოსო ნემსაძეს რუსთავის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა

რეჟისორ სოსო ნემსაძეს რუსთავის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ჯილდო რუსთავის თეატრის განვითარების ახალი ეტაპის დაწყებისთვის გადაეცა.

# ერეკლე დეისაძე: „პარტიებო, რამე ფარულ ჩანაწერებს თუ არ დადებთ, არ წავალ არჩევნებზე"



ასეთ განცხადებას აკეთებს მომღერალი და მწერალი ერეკლე დეისაძე და წინასაარჩევნო ციებ-ცხელებას მოკლედ ეხმაურება:

– პარტიებო, რამე ფარულ ჩანაწერებს თუ არ დადებთ, არ წავალ არჩევნებზე...

მშიერ კაცს რომ სანაგვეზე მიუშვებ და ეტყვი, ამ ნარჩენებიდან კერძს თუ არ გამოიყვან, შიმშილით მოკვდებიო, დაახლოებით ასეთი არჩევნები გვაქვს, მეგობრებო.

# გიორგი ლობჟანიძე საჯარო ბოდიშს ითხოვს



პოეტი და მთარგმნელი გიორგი ლობჟანიძე გიორგი ხულორდავასგან ქურდობისა და ცილისწამებისთვის საჯარო ბოდიშის მოხდას ითხოვს. ამის მიზეზი ეჰსან ფარსას ლექსის „სადავო" თარგმანია:

– ბოლოა და მე ვამთავრებ ამ თემაზე ლაპარაკს. ვითხოვ საჯარო ბოდიშს ქურდობისა და ასევე ცილისწამებისათვის. ეჰსან ფარსას ამ „სადავო" ლექსის თარგმანის პირველი ვარიანტი გამომიქვეყნებია ჯერ კიდევ 2014 წელს და ღიად მიდევს ჩემს ფეისბუქგვერდზე.

2017 წელს ხულორდავა აქვეყნებს ამ ლექსის თარგმანის პირველ ვარიანტს, 2017 წელს მე მაქვს ჩასწორებული ეს ლექსი და 2018 წელს ჩემი თარგმანი გაზიარებული აქვს გვერდ „აველუმს". ხულორდავა მიჰყვება ამ ედითების ისტორიას და აქვეყნებს ასევე ჩასწორებულ ვარიანტს. ხულორდავა თავის გვერდზე დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ მისი თარგმანი ლობჟანიძის თარგმანზე ადრე იყო შესრულებული. ადრეულობის საკითხი, მგონი, უკვე ნათელია.

ახლა რაც შეეხება ვარიანტებს. მე იმათ გასაგონად ვერაფერს ვიტყვი, ვინც ამტკიცებს, რომ ხულორდავა ქურდობას არ იკადრებდა. კარგია, რომ ასეთი აზრი არსებობს მასზე, მაგრამ თვითონ რატომღაც ირიბად და ცოტა გაუბედავად მიანიშნებდა, რომ ეგებ სწორედ ლობჟანიძემ მოიპარა მისი თარგმანი? ამბობდა, მე, ლობჟანიძისგან განსხვავებით, ქურდობის დაბრალებას ვერ ვიკადრებო, მაგრამ ისე ალაგებდა მსჯელობას, რომ ასეთი დასკვნა სხვებს გამოეტანათ.

თუ ნებისმიერი მკითხველისთვის არა, სპეციალისტებისათვის ნათელი უნდა იყოს, საიდან რა წამოვიდა და რა როგორ ამოიზარდა. საკითხმა პრინციპული მნიშვნელობა მას შემდეგ უფრო შეიძინა, რაც ხულორდავამ ძარცვა არ მაკმარა და „გაუპატიურებაც" მოინდომა.

ძალიან ზრდილობიანად შევახსენებ: ამის შემდეგ, სანამ რამის ჭამას დააპირებს, ჯერ დაფიქრდეს, გადაყლაპავს თუ არა! ერთგან ეწერა: თუ ლობჟანიძეს ეს ლექსი 2017 წლამდე ჰქონდა თარგმნილი, რატომ არ შეიტანა 2017 წელს გამოცემულ თავის დიდტანიან კრებულში „სპარსული პოეზია XX-XXI სს". იმიტომ, რომ თუნდაც ასეთი მშვენიერი ნიმუშიც კი ჩემთვის კარგა ხნის მერე არის გარკვეული ბალასტი, საარქივო მასალა, რომელსაც კრებულში შეიძლება არ მივუჩინო ადგილი, მაგრამ არქივში ნამდვილად შევინახავ. შემიძლია, საერთოდ ვაჩუქო კიდევაც ვინმეს, თუ ჩავთვლი, რომ ის ამას იმსახურებს. მაგრამ ვერაგს, ცბიერსა და ინტრიგებში გაწაფულ კოლეგას, ასაკის მიუხედავად! ძირისძირობამდე ჩავყვები და ორგანიზებული ბოროტების დამკვიდრებას აჟიტირებული მიმდევრების ყიჟინის ფონზე არაფრით დავანებებ.

სიმართლე ეს არის. დანარჩენი ლირიკაა. სხვათა შორის, ზოგი, ვინც ახლა ამტკიცებს, რომ ხულორდავა არაფერს მოიპარავს, 2014 წელს ჩემი პირველი პოსტის დამლაიქებელთა შორისაა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# დავით შემოქმედელის მოთხრობაზე ოპერა დაიდგმება

რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელის, მწერლისა და პოეტის დავით შემოქმედელის მოთხრობაზე „ცოდვის ტირილი" ოპერა დაიდგმება:

– ჩემი მოთხრობა „ცოდვის ტირილი" ახლახან გამოცემულ პროზაულ კრებულში სერიით „თანამედროვე ქართული მოთხრობა – სასკოლო ბიბლიოთეკა", დაიბეჭდა. კრებულში წარმოდგენილნი არიან მწერლები ნაირა გელაშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, გოდერძი ჩოხელი, ნუგზარ შატაიძე, კოტე ჯანდიერი, რევაზ მიშველაძე, ჯემალ ტოფურიძე, ზაზა თვარაძე, ვანო ჩიკვაძე, ზაურ კალანდია, გურამ ოდიშარია, ვოვა-ვლადიმერ სიხარულიძე, ირაკლი ლომოური, ზურაბ თორია, მაკა ჯოხაძე, ბონდო მაცაბერიძე, თამრი-თამარ ფხაკაძე.

„ცოდვის ტირილზე" დაწერილ ლიბრეტოზე საოპერო მუსიკა შექმნა კომპოზიტორმა ირაკლი ცინცაძემ, კომპოზიტორ სულხან ცინცაძის შვილმა, რომელიც მოიწონა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სამხატვრო საბჭომ და თბილისის კონსერვატორიის ვოკალის თემურ გუგუშვილისა და სადირიჟოროს გოგი ჭიჭინაძის კათედრებმა. სამომავლოდ განსაზღვრულია, დაიდგას აღნიშნული ოპერა.

ასოციაციური მსგავსების გამო, ინფორმაციისათვის, ჩემი მოთხრობა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდა. ძმებ სოსო და ბადრი ჯაჭვლიანების ფილმ „სვანის" ეკრანიზაციამდე 4 წლით ადრე.

# ქეცბაია და ოქრიაშვილი წაკინკლავდნენ

კვიპროსის ჩემპიონატის მორიგ ტურში ანორთოსისმა აპოელი 2:0 დაამარცხა. თემურ ქეცბაიამ ყველა ქართველი – გიორგი ლორია, მურთაზ დაუშვილი, თორნიკე ოქრიაშვილი, გიორგი ქვილითაია, სასტარტო შემადგენლობაში დააყენა. ანორთოსის მე-2 გოლი ქვილითაიამ გაიტანა, მაგრამ მთავარი ამ შეხვედრაში ეს არ ყოფილა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ თითქოს ყველაფერი იდეალურად იყო, მაგრამ ქართველმა მწვრთნელმა თორნიკე ოქრიაშვილს გარკვეული სახის შენიშვნა მისცა, რამაც თორნიკე ძალიან გაალიზიანა და ქეცბაიას მწვავედ შეეპასუხა.

რა თქმა უნდა, ამაზე არც თემური გაჩერებულა და მისკენ გაიწია. სიტუაციის განმუხტვას კიდევ ერთი ქართველი ბუბა დაუშვილი ცდილობდა, რომელიც ქეცბაიას აქტიურად ამშვიდებდა.

თუმცა, როგორც ჩანს, კონფლიქტი მალევე ამოიწურა, რადგან ნამატჩევს ოქრიაშვილმა განაცხადა, რომ მსგავსი რამ იშვიათი არ არის და ეს სუფთა საფეხბურთო მომენტია.

**თორნიკე ოქრიაშვილი:**

– ჩვენ შორის კონფლიქტი არ არსებობს. ვიკამათეთ ზოგადად თამაშთან დაკავშირებით და კამათი ერთ კონკრეტულ ეპიზოდს არ ეხებოდა. ფეხბურთს თან ახლავს ემოციები, ავყევით ერთმანეთს... ამ თემას არაფერი მოჰყოლია. უბრალოდ, ეს კამათი ხალხმა ნახა და ეგონათ, რომ რაღაც მოხდა, არადა, უბრალოდ, მცირედით წავიკამათეთ. მე და თემურს ამაზე ბევრად დიდი კონფლიქტი მოგვსვლია, მაგრამ ბრავის უნახავს და არაფერი მოჰყოლია. თემურს დიდ პატივს ვცემ და მისგანაც იმავეს ვგრძნობ. შემდეგი თამაშისთვის ვემზადებით.

# დინამო და თსუ ქუთაისს გაუთანაბრდნენ



**დინამო-ბათუმი 97:88**
**(13:26, 22:19, 27:26, 35:17)**

დინამო ბოლო პერიოდამდე აგებდა ბათუმთან, მაგრამ გადამწყვეტ ათწუთეულში მოწყობილი სპურტის წყალობით მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს – 97:88.

ზღვისპირელებმა თამაში შედეგიანად და სტაბილურად დაიწყეს. როგორც შორი, ისე ახლო სროლებით ქულებს იოლად იხვეჭდნენ და თავიდანვე ხელჩასაჭიდ უპირატესობას დაეპატრონნენ – პეტარ არანიტოვიჩისა და ნიკოლა ვუიოვიჩის შედეგიანობით ბათუმმა პირველი პერიოდი 26:13 მოიგო.

დინამოელები ცდილობდნენ ვითარების შეცვლას, მაგრამ ეს კარგა ხანს არ გამოსდიოდათ. ბოლო პერიოდამდე ბათუმელთა ლიდერობა ხელჩასაჭიდი იყო. გია კაზანჯიანის გუნდი თითქოს მშვიდად უნდა მისულიყო გამარჯვებამდე, მაგრამ ბოლო პერიოდი და დინამოელთა შედეგიანი თამაში ერთად დაიწყო. 5-წუთიანი მონაკვეთი, რომელიც მესამე პერიოდის ბოლოს დაიწყო და ბოლო მეოთხედის შუაში დასრულდა, დინამომ 20:4 მოიგო და 7 ქულით დაწინაურდა.

დარჩენილ დროში მუჰამედ ტაჩის გაწვრთნილი დინამოელები იოლად მივიდნენ გამარჯვებამდე და სუპერლიგას 2-დან 2 მოგებით ლიდერობენ. ბათუმელებს კი 2 მარცხი აქვთ.

გამარჯვებულთა შორის 21 ქულით, 13 მოხსნითა და 8 პასით საუკეთესო იყო ტაილერ უილიამსი. 25 ქულით ბომბარდირი გახდა ლუკა ბულაშვილი, ხოლო ნიკა დარბაიძის ანგარიშზე 18 ქულა და 6 მოხსნა დაგროვდა. ბათუმში სხვებზე უკეთესი თამაში 11 ქულით, 10 მოხსნითა და 7 პასით ნიკოლა ვუიოვიჩმა აჩვენა. 24 ქულა დააგროვა პეტარ არანიტოვიჩმა, ლევან მასხულიას ანგარიშზე კი 14 ქულა დაგროვდა.

**მგზავრები-თსუ 76:85**
**(14:25, 20:17, 21:20, 21:23)**

სუპერლიგის ტურის ბოლო მატჩში ერთმანეთს მგზავრები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი დაუპირისპირდნენ. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა თსუ-მ მეტოქე 9 ქულის სხვაობით – 85:76 დაამარცხა და სუპერლიგის ლიდერებს შეუერთდა.

სადღეისოდ, 2-დან 2 მოგებით ცხრილის ლიდერები ქუთაისი, დინამო და თსუ არიან. უნივერსიტეტელებმა მგზავრებთან მატჩში მებრძოლი ხასიათი გამოავლინეს. შეხვედრის დასაწყისიდან ხელჩასაჭიდ უპირატესობას ფლობდნენ და ასე მივიდნენ ბოლო პერიოდამდე, სადაც მებრძოლმა მგზავრების კალათბურთელებმა გაქცევა მოაწყვეს და 4 ქულით – 70:66 დაწინაურდნენ.

შეხვედრის დასრულებამდე 6 წუთი რჩებოდა, რა დროც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ თსუ-ელებს თამაში გამოესწორებინათ და ლიდერობა დაებრუნებინათ. ამერიკელი ბრენდონ სლაი და ახალწვეული ბრაის სმიტი შეუჩერებლები იყვნენ, ხოლო თსუ-ს მედგარი დაცვა წარმატების გარანტი იყო და თამაშიც ისე ჩამთავრდა, უნივერსიტეტელებს გამარჯვების მოპოვება არ გასჭირვებიათ.

თსუ-ს 26 ქულით, 9 მოხსნითა და 7 პასით ბრენდონ სლაიმ ულიდერა. 18-18 ქულა ბრაის სმიტმა და მაიზერ რევაზაშვილმა მიითვალეს. მგზავრებში 19 ქულით საუკეთესო იყო ტროი სტიუარტი, ჯეიდონ კოჰის ანგარიშზე კი 16 ქულა დაგროვდა.

# შერმადინს ვერ აჩერებენ, ბურჯანაძეს დრო გაუზარდეს

გიორგი შერმადინი ესპანეთში ისევ ბრწყინავს. საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრმა, რომელიც ტენერიფეს ღირსებას იცავს, გუნდს ზედიზედ მე-6 გამარჯვება მოაპოვებინა.

ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში კანარის კუნძულელები შერმადინის ყოფილ გუნდ უნიკახას მალაგაში დაუპირისპირდნენ და დაძაბულ ბრძოლაში 86:79 დაამარცხეს. მატჩის გმირი და საუკეთესო მოთამაშე გახდა გიორგი შერმადინი, რომელმაც 27 წუთში 22 ქულა მოაგროვა და რა თქმა უნდა, მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

გიორგი 2 წლის წინ სწორედ უნიკახაში თამაშობდა, სადაც საკმაოდ შედეგიანი იყო, მაგრამ არა ისე, როგორც ტენერიფეში შერმადინმა საკუთარი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ დააფიქსირა – ქართველმა თავდამსხმელმა 27 წუთში 22 ქულა, 8 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. 8-დან 8 ორქულიანი, 7-დან 6 საჯარიმო – ასეთი იყო გიორგის სროლის სიზუსტე. მარგი ქმედების კოეფიციენტით, რამაც 32 ერთეული შეადგინა, ის მოედანზე მყოფთაგან საუკეთესო იყო. შეგახსენებთ, რომ შერმადინი გასული, მე-5 ტურის საუკეთესო მოთამაშე გახდა და ამ ტიტულის მოპოვების კანდიდატად ახლაც განიხილება.

ტენერიფე ესპანეთის ჩემპიონატს წაუგებლად ლიდერობს. მომდევნო ტურში შერმადინის გუნდი ბექა ბურ-



ჯანაძის გრან კანარიას წინააღმდეგ ითამაშებს.

ბურჯანაძის გრან კანარიამ კი მონბუსს უმასპინძლა და 10 ქულის სხვაობით, 75:85 დამარცხდა. მასპინძლებმა პირველი პერიოდის მოგება (26:25) მოახერხეს, მაგრამ შემდეგ თამაშის სადავეები დაკარგეს და მორიგი მარცხი განიცადეს.

ბექა ბურჯანაძემ ამ შეხვედრაში 27 წუთი ითამაშა და ამ დროში 9 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მიითვალა, ხოლო მისი მარგი ქმედების ინდექსმა 8 შეადგინა. ბექამ 1-დან 1 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, მაგრამ სამქულიანებში იდეალური შედეგი არ ჰქონია – 4-დან 1.

გრან კანარიამ ზედიზედ მე-6 თამაში წააგო (1 მოგება, 6 მარცხი) და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე იმყოფება.

# შედეგები

## 25 ოქტომბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

საუთჰემპტონი-ევერტონი ............ 2:0
ვულვზი-ნიუკასლი ............ 1:1
არსენალი-ლესტერი ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ასტონ ვილა | 5 | 5 | 0 | 0 | 15-2 | 15 |
| 2.ევერტონი | 6 | 4 | 1 | 1 | 14-9 | 13 |
| 3.ლივერპული | 6 | 4 | 1 | 1 | 15-14 | 13 |
| 4.ლესტერი | 6 | 4 | 0 | 2 | 13-8 | 12 |
| 5.საუთჰემპტონი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-9 | 10 |
| 6.კრ.პალასი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-9 | 10 |
| 7.ვულვზი | 6 | 3 | 1 | 2 | 6-8 | 10 |
| 8.ჩელსი | 6 | 2 | 3 | 1 | 13-9 | 9 |
| 9.არსენალი | 6 | 3 | 0 | 3 | 8-7 | 9 |
| 10.ტოტენჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 15-8 | 8 |
| 11.ვესტ ჰემი | 6 | 2 | 2 | 2 | 12-8 | 8 |
| 12.სიტი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-8 | 8 |
| 13.ნიუკასლი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-10 | 8 |
| 14.ლიდსი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-12 | 7 |
| 15.მანჩესტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-12 | 7 |
| 16.ბრაიტონი | 5 | 1 | 1 | 3 | 9-11 | 4 |
| 17.ვესტ ბრომვიჩი | 5 | 0 | 2 | 3 | 5-13 | 2 |
| 18.ბარნლი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |
| 19.შეფილდი | 6 | 0 | 1 | 5 | 3-9 | 1 |
| 20.ფულემი | 6 | 0 | 1 | 5 | 5-14 | 1 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგი-არმინია ............ 2:1
ვერდერი-ჰოფენჰაიმი ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიფციგი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-3 | 13 |
| 2.ბაიერნი | 5 | 4 | 0 | 1 | 22-8 | 12 |
| 3.დორტმუნდი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-2 | 12 |
| 4.შტუტგარტი | 5 | 2 | 2 | 1 | 10-6 | 8 |
| 5.გლადბახი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-8 | 8 |
| 6.ვერდერი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-7 | 8 |
| 7.აინტრახტი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-9 | 8 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| 9.აუგსბურგი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 10.ვოლფსბურგი | 5 | 1 | 4 | 0 | 4-3 | 7 |
| 11.უნიონი | 5 | 1 | 3 | 1 | 8-6 | 6 |
| 12.ლევერკუზენი | 4 | 1 | 3 | 0 | 3-2 | 6 |
| 13.ფრაიბურგი | 5 | 1 | 3 | 1 | 6-9 | 6 |
| 14.არმინია | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 15.ჰერტა | 5 | 1 | 0 | 4 | 9-12 | 3 |
| 16.კიოლნი | 5 | 0 | 2 | 3 | 5-9 | 2 |
| 17.შალკე | 5 | 0 | 1 | 4 | 2-19 | 1 |
| 18.მაინცი | 5 | 0 | 0 | 5 | 4-15 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-აუე ............ 2:0
ზანდჰაუზენი-პადერბორნი ............ 1:1
ჰაიდენჰაიმი-ოსნაბრიუკი ............ 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-ალავესი ............ 0:2
კადისი-ვილიარეალი ............ 0:0
ხეტაფე-გრანადა ............ 0:1
სოსიედადი-უესკა ............ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სოსიედადი | 7 | 4 | 2 | 1 | 14-3 | 14 |
| 2.რეალი | 6 | 4 | 1 | 1 | 9-4 | 13 |
| 3.გრანადა | 6 | 4 | 1 | 1 | 8-8 | 13 |
| 4.ვილიარეალი | 7 | 3 | 3 | 1 | 8-8 | 12 |
| 5.ატლეტიკო | 5 | 3 | 2 | 0 | 10-1 | 11 |
| 6.კადისი | 7 | 3 | 2 | 2 | 6-6 | 11 |
| 7.ოსასუნა | 6 | 3 | 1 | 2 | 6-4 | 10 |
| 8.ხეტაფე | 6 | 3 | 1 | 2 | 5-4 | 10 |
| 9.ელჩე | 5 | 3 | 1 | 1 | 5-4 | 10 |
| 10.ბეტისი | 7 | 3 | 0 | 4 | 7-11 | 9 |
| 11.ეიბარი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-6 | 8 |
| 12.ბარსელონა | 5 | 2 | 1 | 2 | 9-5 | 7 |
| 13.სევილია | 5 | 2 | 1 | 2 | 5-4 | 7 |
| 14.ვალენსია | 7 | 2 | 1 | 4 | 9-11 | 7 |
| 15.ალავესი | 7 | 2 | 1 | 4 | 5-8 | 7 |
| 16.ბილბაო | 6 | 2 | 0 | 4 | 4-6 | 6 |
| 17.უესკა | 7 | 0 | 5 | 2 | 5-10 | 5 |
| 18.სელტა | 6 | 1 | 2 | 3 | 3-9 | 5 |
| 19.ვალიადოლიდი | 7 | 0 | 3 | 4 | 5-11 | 3 |
| 20.ლევანტე | 5 | 1 | 0 | 4 | 5-10 | 3 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხიხონი-პონფერადინა ............ 2:1
ლეგანესი-ოვიედო ............ 2:1
ტენერიფე-ესპანიოლი ............ 0:0
ალბასეტე-რაიო ............ 2:1
მალაგა-მირანდესი ............ 1:1
სარაგოსა-საბადელი ............ 0:0

**იტალია. სერია ა**

კალიარი-კროტონე ............ 4:2
ბენევენტო-ნაპოლი ............ 1:2
პარმა-სპეცია ............ 2:2
ფიორენტინა-უდინეზე ............ 3:2
იუვენტუსი-ვერონა ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-1 | 12 |
| 2.ნაპოლი | 5 | 4 | 0 | 1 | 14-5 | 11 |
| 3.სასუოლო | 5 | 3 | 2 | 0 | 16-9 | 11 |
| 4.ინტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 13-8 | 10 |
| 5.ატალანტა | 5 | 3 | 0 | 2 | 15-12 | 9 |
| 6.სამპდორია | 5 | 3 | 0 | 2 | 10-8 | 9 |
| 7.იუვენტუსი | 5 | 2 | 3 | 0 | 10-4 | 9 |
| 8.ვერონა | 5 | 2 | 2 | 1 | 5-2 | 8 |
| 9.რომა | 4 | 2 | 1 | 1 | 8-7 | 7 |
| 10.ფიორენტინა | 5 | 2 | 1 | 2 | 10-10 | 7 |
| 11.კალიარი | 5 | 2 | 1 | 2 | 10-12 | 7 |
| 12.ლაციო | 5 | 2 | 1 | 2 | 6-9 | 7 |
| 13.ბენევენტო | 5 | 2 | 0 | 3 | 9-14 | 6 |
| 14.სპეცია | 5 | 1 | 2 | 2 | 7-11 | 5 |
| 15.პარმა | 5 | 1 | 1 | 3 | 6-11 | 4 |
| 16.ჯენოა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-9 | 4 |
| 17.ბოლონია | 5 | 1 | 0 | 4 | 8-10 | 3 |
| 18.უდინეზე | 5 | 1 | 0 | 4 | 5-9 | 3 |
| 19.ტორინო | 4 | 0 | 1 | 3 | 7-11 | 1 |
| 20.კროტონე | 5 | 0 | 1 | 4 | 5-15 | 1 |

**იტალია. სერია ბ**

კოზენცა-ლეჩე ............ 1:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ბორდო-ნიმი ............ 2:0
ბრესტი-სტრასბური ............ 0:3
მეცი-სტ.ეტიენი ............ 2:0
მონპელიე-რეიმსი ............ 0:4
ნიცა-ლილი ............ 1:1
ლიონი-მონაკო ............ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 8 | 6 | 0 | 2 | 20-3 | 18 |
| 2.ლილი | 8 | 5 | 3 | 0 | 14-3 | 18 |
| 3.რენი | 8 | 4 | 3 | 1 | 16-10 | 15 |
| 4.მარსელი | 8 | 4 | 3 | 1 | 11-8 | 15 |
| 5.ნიცა | 8 | 4 | 2 | 2 | 11-10 | 14 |
| 6.ლიონი | 8 | 3 | 4 | 1 | 14-8 | 13 |
| 7.ლანსი | 7 | 4 | 1 | 2 | 10-10 | 13 |
| 8.ანჟე | 8 | 4 | 1 | 3 | 10-16 | 13 |
| 9.ბორდო | 8 | 3 | 3 | 2 | 9-5 | 12 |
| 10.მეცი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-7 | 11 |
| 11.მონპელიე | 8 | 3 | 2 | 3 | 13-13 | 11 |
| 12.მონაკო | 8 | 3 | 2 | 3 | 11-13 | 11 |
| 13.სტ.ეტიენი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-12 | 10 |
| 14.ბრესტი | 8 | 3 | 0 | 5 | 11-18 | 9 |
| 15.ნანტი | 7 | 2 | 2 | 3 | 9-10 | 8 |
| 16.ნიმი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-13 | 8 |
| 17.ლორიანი | 8 | 2 | 1 | 5 | 12-15 | 7 |
| 18.სტრაბური | 8 | 2 | 0 | 6 | 9-16 | 6 |
| 19.რეიმსი | 8 | 1 | 2 | 5 | 10-13 | 5 |
| 20.დიჟონი | 8 | 0 | 2 | 6 | 4-18 | 2 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

სიტარდი-გრონინგენი ............ 1:3
ვიტესი-პსვ ............ 2:1
სპარტა-ერაკლესი ............ 1:1
ვალვაიკი-ფეინოორდი ............ 2:2
დენ ჰააგი-ალკმაარი ............ 2:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენშე-მარიტიმუ ............ 2:1
ფარენსე-რიუ ავე ............ 0:1
ფამილიკაო-ბოავიშტა ............ 2:2
გიმარაეში-ბრაგა ............ 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-ტამბოვი ............ 0:0
როსტოვი-ხიმკი ............ 0:2
ახმატი-უფა ............ 3:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

იანგ ბოიზი-ლუცერნი ............ 2:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-სელტიკი ............ 3:3
რეინჯერსი-ლივინგსტონი ............ 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ტიროლი-ჰარტბერგი ............ 1:1
ლინცერი-სტ.პოლტენი ............ 4:0
ვოლფსბერგერი-რაპიდი ............ 3:4

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანტვერპენი-ბეერსხოტი ............ 3:2
ოსტენდე-ვარეგემი ............ 3:0
სტ.ტრუიდენი-სტანდარდი ............ 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-ოფი ............ 1:0
იანინა-აეკი ............ 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

მალათია-გენჩლერი ............ 2:1
ალანია-ქარაგუმრუკი ............ 2:0
ფენერბახჩე-ტრაბზონი ............ 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ჩენსტოხოვა-სტალი ............ 2:1
ლეხი-კრაკოვია ............ 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ინგულეცი-მარიუპოლი ............ 1:1
კოლოსი-მინაი ............ 2:2
ზორია-რუხი ............ 4:0

**დანია. სუპერლიგა**

ჰორსენსი-ნორდსიელანდი ............ 1:1
რანდერსი-სონდერიისკე ............ 1:2
ორხუსი-კოპენჰაგენი ............ 0:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-ფალკენბერგი ............ 0:0
ესტერსტუნდი-ჰამარბი ............ 1:3
მალმიო-გიოტებორგი ............ 3:1
იორებრო-ჰელსინბორგი ............ 3:2

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვალერენგა-კრისტიანსუნდი ............ 1:1
მიოლდე-სტრომგოდსეტი ............ 2:1
ალესუნდი-ოდ გრელანდი ............ 0:3
სარპსბორგი-რუსენბორგი ............ 1:2
ბოდო გლიმდტი-მიონდალენი ............ 2:0

*მოამზადა მიხეილ ყორყელიამ*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 2. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 3. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 5. ზღვის ფრინველი; 6. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. წყალბადის იზოტოპი, „მძიმე წყალი"; 10. სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 12. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 14. ფეხბურთის იტალიელი გულშემატკივარი; 15. მეტალურგიული ღუმელების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 16. ინგლისის ნაკრებისა და „ტოტენჰემის" ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 4. სიბნელეში ჭუჭრუტანიდან შემოსული მზის სხივი; 7. დაბალი, ძლიერი დარტყმა ჩოგბურთში; 9. მატყლით ან ბუმბულით დატენილი მრგვალი ან მოგრძო ბალიში; 11. თანამდებობების ყიდვა-გაყიდვა შუა საუკუნეების კათოლიკურ ეკლესიაში; 12. მდინარე გაგრაში; 13. ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 17. კომპანია „მაიკროსოფტის" მფლობელი; 18. იტალიელი მოდელიერი; 19. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო პროგრამა; 20. მდინარე აშშ-ში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქიმერა; 2. ფიტი; 3. ლაფონტენი; 4. ლალია; 5. მემფისი; 8. ბეტონი; 9. გუტიერესი; 12. რეკეტი; 14. იანუსი; 16. აიეტი.

**თარაზულად:** 1. ქროლოფილი; 6. გაბრიაძე; 7. მაკბეტი; 9. გიბონი; 10. ჯანი; 11. მოზაიკა; 13. ბრიხი; 15. თემიდა; 17. ჰილტონი; 18. ხეტაფე; 19. ვერსია; 20 ლიზინგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ცეზარი; 2. ვერე; 3. სამშვილდე; 4. კინტო; 5. ნახნაგი; 8. დოლიძე; 9. კარდინალი; 12. კონცხი; 14. ხუდონი; 16. აშარი.

**თარაზულად:** 1. ციციშვილი; 6. კაროლინა; 7. ზანდური; 9. კრიშნა; 10. თორა; 11. ცისკარი; 13. ბახში; 15. ნოველა; 17. ღერღედი; 18. მცხეთა; 19. ბოინგი; 20. ფილიპსი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2202

ევრო — 3.8137

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2098

100 რუსული რუბლი — 4.2174

## ამინდის პროგნოზი 27 ოქტომბრისათვის




## „მასტერშეფი“ გურო ბეგლარიშვილმა დატოვა



„მასტერშეფის“ მეოთხე სეზონის ფინალი ახლოვდება და კონკურსანტებში დაძაბულობა სულ უფრო და უფრო მატულობს. საუკეთესო 9 კონკურსანტს კიდევ ერთი მონაწილე გამოაკლდა. პროექტი გურო ბეგლარიშვილმა დატოვა.

„მასტერშეფის“ ჟიურიმ 9 კონკურსანტი სამ-სამ გუნდად დაყო – წითელწინსაფრიანების, ლურჯწინსაფრიანებისა და თეთრწინსაფრიანების. წითელწინსაფრიანების გუნდში მოხვდნენ გაიანე, გურო და დავითი, ლურჯწინსაფრიანებში – სოლომონი, ნიკუშა და ირაკლი, ხოლო თეთრწინსარფიანებში – ლუკა, ნატალია და მირიანი.

ჟიურის დავალებას გუნდურ შეჯიბრებაში ყველაზე კარგად თავი გაართვეს ლურჯწინსაფრიანებმა, ამიტომ გუნდის სამივე წევრმა იმუნიტეტი მოიპოვა.

საუკეთესო კერძად ჟიურიმ ლუკას კერძი დაასახელა, გავარდნის კანდიდატები კი აღმოჩნდნენ გაიანე, დავითი და გურო. საბოლოოდ კი „მასტერშეფის“ სამზარეულოს გურო დაემშვიდობა.

## ირაკლი მაქაცარიამ უკრაინულ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ იცეკვა



ტელეწამყვანმა და ბიზნესმენმა ირაკლი მაქაცარიამ უკრაინულ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ კონკურსანტებთან ერთად „ფლამენკო“ იცეკვა.

ირაკლი უკრაინული „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ახალი სეზონის ჟიურის წევრია, თუმცა უარი არ უთქვამს, ორწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ სცენაზე დამდგარიყო. ირაკლისა და მისი პარტნიორების მიერ შესრულებულმა „ფლამენკომ“ მაყურებლის მხურვალე ოვაციები, ბრავო და 40 ქულა დაიმსახურა.

## თეატრალური უნივერსიტეტის რექტორად გიორგი შალუტაშვილი აირჩიეს



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აკადემიურმა საბჭომ პროფესორი გიორგი შალუტაშვილი აირჩია.

ფარული კენჭისყრის პროცესი მშვიდობიან გარემოში ჩატარდა. აკადემიური საბჭოს 10 წევრიდან ხმის მიცემის პროცესში ყველამ მიიღო მონაწილეობა. ხმის მიცემის შედეგად პროფესორმა ალექსანდრე ქანთარიამ მიიღო 3 ხმა, პროფესორმა გიორგი შალუტაშვილმა – 6 ხმა, 1 ბიულეტენი კი ბათილად იქნა ცნობილი.

თეატრალური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მომდევნო 4 წლის ვადით რექტორად პროფესორი გიორგი შალუტაშვილი აირჩია. მისივე თქმით, არჩევნების შედეგები გადაეგზავნა აკადემიურ საბჭოს, რომელმაც გიორგი შალუტაშვილის უფლებამოსილება ცნო.

რექტორობის კანდიდატების სამოქმედო გეგმა და კონცეფცია საჯარო და ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი



27 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – საქმეში ხელს უყურადღებობა და დაუდევრობა გიშლით. ერიდეთ ქარაფშუტა და ზარმაც ადამიანებთან ურთიერთობას. **კურო** – ნუ აჩქარდებით. გულმოდგინედ გააანალიზეთ თითოეული ნაბიჯი. ილუზიებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** – კომერციული საქმიანობისათვის, ცოდნის არეალის გასაფართოებლად მშვენიერი დღეა. არ იზარმაცოთ. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე გაქვთ. **ლომი** – ნებისმიერი კოლექტიური საქმიანობა თქვენგან სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს. მოსალოდნელია კონფლიქტი უფროსობასთან. **ქალწული** – საქმიან პარტნიორთან ურთიერთობა გაფორიაქებთ. ერიდეთ გაუთვალისწინებელ ხარჯებს. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად. ახლობლებთან ურთიერთობა ჰარმონიულია. **მორიელი** – დღის პირველ ნახევარში ყურადღების ცენტრში ხართ. თავმოყვარეობას გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – მეგობრების გონივრული რჩევები გაითვალისწინეთ. ეცადეთ, საქმე აუჩქარებლად აკეთოთ. **თხის რქა** – სამსახურში ხელმძღვანელობის მხრიდან დაბრკოლებები შეგხვდებათ. ჯანმრთელობას მიხედეთ და, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ვიზიტი არ დააყოვნოთ. **მერწყული** – დაძაბული დღეა. ხმაურიან საზოგადოებაში გამოჩენას ერიდეთ. გეგმები გეცვლებათ. **თევზები** – მშვიდი დღეა. საქმეში ხელს არავინ გიშლით. საღამოს დაისვენეთ და გაერთეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

სოფლიდან ჩამოსული მამაკაცი ავადმყოფი ნათესავის სანახავად მივიდა. ნათესავის ცოლმა ის გააფრთხილა, რომ ძალიან ცუდად იყო და სთხოვა, რომ მასთან სახემოღუშული არ შესულიყო და ამით მისი მდგომარეობა კიდევ უფრო არ დაემძიმებინა. სტუმარი ავადმყოფის ოთახში გაღიმებული სახით შევიდა და ეკითხება:

– აბა, როგორ ვართ? ვკვდებით?

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– არ მინდა უხეშად ჩამთვალოთ, მაგრამ სიამოვნებით გაგჟიმავდით.

– არ მინდა მეძავად ჩამთვალოთ, მაგრამ თანახმა ვარ.

●●●

ქალი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ჩემი ქმარი, როგორც ქალს, სრულიად ვერ მაკმაყოფილებს?

– და ეგ რაში გამოიხატება?

– სრულიად არ რეაგირებს ჩემს მცდელობაზე სკანდალის ასაგორებლად...

●●●

ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

– იცი, შენ ყველაზე საინტერესო თანამოსაუბრე ხარ მათ შორის, ვისთანაც კი მისაუბრია!

– კი მაგრამ, მე ხომ ხმას არ ვიღებ...

– სწორედ მაგიტომაც, ჩემო მეგობარო, სწორედ მაგიტომაც!

●●●

ერთი ექიმი მეორეს ეუბნება:

– ეს პაციენტი კორონა ვირუსისგან გარდაიცვალა.

– კი მაგრამ, მას ხომ თავის ქალა აქვს გახეთქილი?

– ავტობუსში უნიღბოდ მგზავრობდა და ცხვირი დააცემინა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## მოდრიჩს რეალში დარჩენა სურს



მადრიდის რეალის ხორვატ ნახევარმცველ ლუკა მოდრიჩს რეალში დარჩენა სურს. მისი თქმით, რეალში ის თავს კარგად გრძნობს და უნდა, კარიერა ამ გუნდში დაასრულოს. მიუხედავად ამისა, რეალს მოდრიჩისთვის ჯერჯერობით ახალი კონტრაქტი არ შეუთავაზებია, მისი ახლანდელი კონტრაქტი კი ზაფხულში იწურება.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოდრიჩი ტოტენჰემში აპირებდა დაბრუნებას, მაგრამ თვითონ ფეხბურთელმა ეს ინფორმაცია უარყო.

## მანჩესტერ სიტის აკადემიის ფეხბურთელმა თავი მოიკლა



მანჩესტერ სიტის აკადემიის 17 წლის ფეხბურთელმა ჯერემი უინსტონმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც სიტიმ ფეხბურთელი არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო აკადემიიდან გაათავისუფლა.

მანჩესტერ სიტიმ თავის ოფიციალურ გვერდზე ფეხბურთელის გარდაცვალება დაადასტურა.

## რონალდინიოს კორონავირუსი დაუდგინდა



ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდა რონალდინიოს კორონავირუსი დაუდგინდა. ამის შესახებ ინფორმაცია ბრაზილიურმა მედიამ გაავრცელა და რონალდინიომ ეს დაადასტურა. რონალდინიო თავს კარგად გრძნობს და სიმპტომები თითქმის არ აღენიშნება, თუმცა კვლავ ექიმების აქტიური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

რონალდინიო დაახლოებით ერთი თვის წინ ჩავიდა ბრაზილიაში პარაგვაიდან, სადაც რამდენიმე თვე ციხეში გაატარა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## „მალიბუს მაშველების“ ვარსკვლავის ყოფილი ცოლი ქუჩაში ცხოვრობს



სერიალ „მალიბუს მაშველების“ ვარსკვლავის ჯერემი ჯექსონის ყოფილი ცოლი ლონი უილსონი, რომელიც ორი წლის წინ გაუჩინარდა, ლოს-ანჯელესში ქუჩაში მცხოვრები აღმოაჩინეს.

ყოფილი ლამაზმანი, რომელიც თავის ვარსკვლავ მეუღლესთან ერთად ჟურნალების გარეკანს ამშვენებდა, იმ დროს შენიშნეს, როდესაც ის ქუჩაში საკუთარი ნივთებით სავსე ურიკას მიაგორებდა და ნაგვის ურნებში იქექებოდა. ლონი ჯერემის 2012 წელს გაჰყვა ცოლად. თუმცა გამუდმებული კამათის შემდეგ წყვილი ერთმანეთს დაშორდა. მისი ბოლო სამუშაო ადგილი კოსმეტიკური ქირურგის საავადმყოფო იყო, სადაც ის თანაშემწედ მუშაობდა. 2016 წელს ქალს ნერვული აშლილობა დაემართა, შედეგად მან სამსახური, ბინა, მანქანა დაკარგა და ქუჩაში აღმოჩნდა, ხოლო 2018 წელს საერთოდ გაუჩინარდა მას შემდეგ, რა მეგობრებმა სცადეს ის სარეაბილიტაციო ცენტრში მოეთავსებინათ, მისი ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისგან გასათავისუფლებლად.

ლონი დახმარების შეთავაზებაზე უარს ამბობს, აცხადებს, რომ მას არაფერი სჭირდება და არავისი დანახვა არ უნდა.

– შემიძლია მარტომ ვიცხოვრო. ყველაფერი მაქვს, რაც კი მჭირდება, – განაცხადა ჯერემი ჯექსონის ყოფილმა მეუღლემ. მან განმარტა, რომ ფულს თავად შოულობს, ხოლო საკვებს სანაგვეებსა და მაღაზიების მახლობლად მოიპოვებს.

## ველოსიპედით სეირნობისას სკოლის მოსწავლემ დინოზავრის ძვლები იპოვა

კანადის პროვინცია ალბერტის მკვიდრმა 12 წლის ბიჭმა, რომელიც პალეონტოლოგობაზე ოცნებობს, შემთხვევით დინოზავრის ძვლები აღმოაჩინა. სპეციალისტების აზრით, მათი ასაკი დაახლოებით 69 მილიონი წელია.

ნათან ჰრუშკინი უძველესი რეპტილიის ძვლებს კანიონში, სახელწოდებით „ნალი“ გადააწყდა მამასთან დაიონთან ერთად ველოსიპედით სეირნობის დროს

– ბოლო წლებში იმ ადგილებში ხშირად დავდიოდი მამასთან ერთად. ბევრი ძველის მცირე ფრაგმენტები გვინახია და იმედი გვქონდა, რომ დინოზავრის გაქვავებულ ჩონჩხსაც გადავაწყდებოდით, – განაცხადა მოზარდმა.



ნათანმა ნანახის ფოტოსურათები სამეფო ტირელის მუზეუმს გადაუგზავნა. იქ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბავშვმა გადროზავრის ჩონჩხს მიაგნო, რომელიც დედამიწაზე დაახლოებით 69 მილიონი წლის წინ ბინადრობდა. ადგილზე ჩასულმა პალეონტოლოგებმა დინოზავრის 50-მდე ძვლის შეგროვება მოახერხეს. ექსპერტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ძვლები ახალგაზრდა ცხოველს ეკუთვნის, რომლის ასაკი დაახლოებით სამი-ოთხი წელი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კანიონში ხშირად პოულობენ გადროზავრის ნაშთებს, სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ბავშვის მიერ აღმოჩენილი დინოზავრის ჩონჩხის ძვლები უნიკალურია, ვინაიდან ის იმ დროინდელია, რომლის თაობაზე მეცნიერებისთვის ძალიან ცოტა რამაა ცნობილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთის ხსნარით შეზავებული სახატავი საღებავი; 2. პერიოდულად შრობადი მდინარეების საერთო სახელწოდება ავსტრალიაში; 3. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ყვავილოვანი კომბოსტოს ერთ-ერთი სახეობა; 5. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 9. ქართული ფარმაცევტული კომპანია; 12. ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 14. შამფურზე მწვადად ასაგები ხორცის ნაჭრები; 15. თავადის ტიტული ინდოეთში; 17. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 18. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

**თარაზულად:** 6. დაბალხარისხოვანი მატყლისგან მოთელილი ნაბადი; 7. პირველი კოსმონავტი; 8. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. შვედური ავტომობილი; 11. ქართული ხალხური ზღაპარი; 13. ჩქარი მატარებელი; 16. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 19. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 20. წყლის ტრამვაი ვენეციაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

